ჩვენი თაობა

ახალგაზრდა მკითხველისთვის

5

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩ ვ ე ნ ი
თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის უოველთვიური ორგანო

139985

თ ბ ი ლ ი ს ი
1 9 3 8

№ 5
მ ა ი ს ი

შინაარსი:

გვ.

ლ. ბერია—ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დროშით ეგებება უმაღლესი საბჭოს არჩევნებს 3

მხატვრული ლიტერატურა

მაყვალა მრევლიშვილი — სიმღერა თორმეტ ივნისზე 14

ალეკო შენგელია — ნინო აგაშენაშვილს . . 16

გიორგი კალანდაძე — თორმეტი ივნისი . . 18

ამბავი იგორის ლაშქრობისა 19

ჯამბული — სუფრული 40

ია ჩხაიძე — გლახუნა 43

კრიტიკა

დავით კობიძე — ფერდოუსის სატირა სულთან მაჰმუდზე 55

ბიბლიოგრაფია

გ. — ს. მგალობლიშვილი — მოგონებანი . 63

პ/მგ. რედაქტორი — **ირაკლი აბაშიძე**

პ/მგ. მდივანი — **ნიკა აბიაშვილი**

ლ. ბერია

ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დროშით ეგებება უმაღლესი საბჭოს არჩევნებს

სტატია, გამოქვეყნებული 1938 წლის 23 აპრილის „პრავდაში“

...„ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში“.

ი. სტალინი.

ახლოვდება მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნები. 1938 წლის 12 ივნისს ქართველი ხალხი საქართველოს სს რესპუბლიკის იმ კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც აგებულია სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, აირჩევს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

ქართველი ხალხი მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მამაცურად იცავდა თავის თავისუფლებას. იგი გმირულად იგერიებდა რომის იმპერატორების, თურქეთის სულთანების, სპარსეთის შახების ურდოთა ურიცხვ თავდასხმას.

მიუხედავად, ცარიზმის უსასტიკესი კოლონიური პოლიტიკისა, ცარიზმის, რომელიც ცდილობდა ჩაეხშო ქართველი ხალხის თავისუფლების მოყვარული სული და მოესპო მისი ნაციონალური თვითშეგნება, — ქართველმა ხალხმა შესძლო საუკუნეების მანძილზე გამოეტარებინა თავისი ენა, თავისი ძველი კულტურა, თავისი ნებისყოფა გამარჯვებისა და თავისუფლებისადმი.

რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ამხანაგი **სტალინი** საფუძველს უყრიდა საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რაზმავდა რა ლენინის იდეების დროშით მუშათა და გლეხთა ფართო მასებს და მიჰყავდა ისინი კაპიტალიზმისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იერიშის მისატანად.

საქართველოს პროლეტარიატის მიერ თბილისის ქუჩებში გამართული პირველი აშკარა პოლიტიკური დემონსტრაციიდან, რომელიც ამხანაგმა **სტალინმა** 1901 წელს მოაწყო, 1917 წლის დიდ ოქტომბრამდე სულ 16 წელმა განვლო. ეს წლები გადიოდა განუწყვეტელ, შეუპოვარ ბრძოლაში ცარიზმის დასამხობად, ბოლშევიკური კადრების შესაქმნელად მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასამყარებლად.

მენშევიკების — ქართველი ხალხის ამ უბოროტესი მტრების — სამი წლის თარეშის პერიოდში საქართველოს ბოლშევიკები სათავეში ედგნენ მუშებისა და გლეხების ბრძოლას მენშევიკური ჩაგვრის წინააღმდეგ. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელმა მასებმა, რომელთაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, მეშურ-გლეხური წითელი არმიის ძმური ხელშეწყობით და დიდი რუსი ხალხის დახმარებით გადაიგდეს საზიზღარი მენშევიკური უღელი და აფრიალეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა. დაიწყო ქართველი ხალხის აღორძინების ეპოქა. ბოლშევიკური პარტიისა და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, პირადად ამხანაგ **სტალინის** მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით, ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ყველა განთავისუფლებულ ხალხთან ერთად თავისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ნამდვილ აყვავებას მიაღწია.

რა განუზომელი განსხვავებაა ხალხთა ფართო მასების მდგომარეობისა ჩვენში და კაპიტალიზმის ქვეყნებში.

ფაშიზმი — ეს ფინანსიური კაპიტალის აშკარა, ტერორისტული დიქტატურა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა შეურიგებელი, უსასტიკესი მტერი — თავხედურად სთელავს ფეხქვეშ ხალხთა ელემენტარულ უფლებებს.

გერმანიის ფაშიზმის ჩექმამ უხეშად გასთელა ავსტრიის ხალხის დამოუკიდებლობა; პოლონეთის ფაშიზმი, აყალარუნებს რა იარაღს, ხელჰყოფს ლიტვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას; გმირი ესპანელი ხალხი უკვე მეორე წელიწადია სისხლისაგან იცლება

იტალია-გერმანიის „მოხალისეთა“ არმიასთან უთანასწორო ბრძოლაში; იაპონიის სამხედრო ხროვა ცინიკურად სთელავს ფეხქვეშ ჩინეთის ხალხის ელემენტარულ უფლებებს. აღვირახსნილი ფაშისტი აგრესორები უშუალო საფრთხეს უქმნიან ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას.

ქართველი ხალხი, ახსოვს რა სტალინის ბრძნული მითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, აძლიერებს რა რევოლუციურ სიფხიზლეს ფაშიზმისა და მისი აგენტურის ოინებისადმი, დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა მჭიდრო ოჯახში შეკავშირებული მიდის სოციალისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ, ენერგიულად ემზადება რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის — თავისი სასიხარულო საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის.

სამუდამოდ წარვიდნენ და არასოდეს აღარ დაბრუნდებიან ექსპლოატაციის, ძალადობისა და ჩაგვრის მძიმე წლები! ურყევია ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა, რომლის დროშის ქვეშაც საქართველოს მშრომელები მშვიდობიანად აშენებენ თავის ცხოვრებას და სწრაფად და წარმატებით ანვითარებენ ხალხში არსებულ უდიდეს შემოქმედებითს ძალებს.

„ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, — ამბობდა ამხ. ვ. მ. მოლოტოვი საბჭოთა საქართველოს დელეგაციის კრემლში მიღების დროს, — რომ საქართველოში უკვე ცოტა რამ როდია გაკეთებული, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რომლის მიხედვითაც მხოლოდ სუსტი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიდ მომავალ მშენებლობაზე. საქართველო — ეს მსოფლიოს ერთ-ერთი უბედნიერესი კუთხეა, ბუნებრივი სიმდიდრეებით დაჯილდოებული და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მდიდარია ისეთი ადამიანებით, რომელთა ტალანტებიც ბრწყინავენ საქართველოსა, ამიერკავკასიასა და მთელს საბჭოთა კავშირში.

ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას. არამედ მთელ საბჭოთა კავშირსაც, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს კაცობრიობის ისტორიაში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველომ მოგვცა ჩვენ ამხანაგი **სტალინი**“.

სტალინურმა კონსტიტუციამ შეაჯამა შედეგი სსრ კავშირის ყველა ხალხის ბრძოლისა თავისი ბედნიერი აწმყოსათვის, ჩასწერა საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევები მისი არსებობის 20 წლის მანძილზე. ეს ბედნიერი, კულტურული, უზრუნველყოფილი ცხოვრება საქართველოს მშრომელთა მილიონების გულში იწვევს

უდიდესი სიყვარულის, მადლობისა და ერთგულების გრძნობას იმისადმი, ვინც ქართველი ხალხი, ისე როგორც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი, მიიყვანა ბედნიერ ცხოვრებამდე, — მშობლიური **სტალინისადმი**.

საბჭოთა საქართველო თავისი უმაღლესი საბჭოს პირველ არჩევნებს უდიდესი მიღწევებით ეგებება.

ეს მიღწევები შედეგია ჩვენი პარტიის მიერ, სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებისა, შედეგია იმისა, რომ წარსულში ჩამორჩენილი „განაპირა“ მხარეები სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში აყვანილ იქნენ მოწინავე რესპუბლიკებისა და მხარეების დონემდე.

მრეწველობამ სოფლის მეურნეობის აბსოლუტურ ზრდასთან ერთად უპირატესი ადგილი დაიჭირა საქართველოს სახალხო მეურნეობაში. მრეწველობის ხვედრითმა წონამ სახალხო მეურნეობაში 1937 წელს 75 პროცენტს გადააჭარბა. 1928 წელს იგი შეადგენდა მხოლოდ 33 პროცენტს.

პირველი და მეორე ხუთწლედის მანძილზე მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 3.119.1 მილიონი მანეთი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქართველოში შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები, მანქანათმშენებლობის (კერძოდ, ჩაისა და მეღვინეობის მოწყობილობის), ფეროშენადნობის, ცემენტის, ნავთის, აბრეშუმსაქსოვი, საფეიქრო, საკონსერვო, შაქრის მრეწველობა, ძვირფასი და იშვიათი ლითონების (ოქრო, დარიშხანა, მოლიბდენი) და არამადნეულ წიაღისეულთა (ბარიტი, გუმბრინი) ამომღები მრეწველობა და სხვ. მრეწველობის მარგანეცისა და ქვანახშირის დარგები ამჟამად ხელახლა რეკონსტრუირებულია. 1937 წელს ამოღებულ იქნა 1.650 ათასი ტონა მარგანეცი, ესე-იგი თითქმის ორჯელ მეტი, ვიდრე 1913 წელს; ამჟამად ქვანახშირის ამოღება სამჯერ და კიდევ უფრო მეტად სჭარბობს ომამდელი დროის ამოღებას.

საქართველოს ბუნებრივი რელიეფი ბოლშევიკთა ხელში იაფი ელექტროენერგიის უმდიდრეს წყაროდ გადაიქცა, მთელ რიგ დიდ ჰიდროელსადგურებს (რიონის ჰიდროელსადგური, ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგური, აჭარის-წყლის ჰიდროელსადგური) და ათობით პატარა ელსადგურებს, აგრეთვე თბოსადგურებს, რომელთა საერთო სიმძლავრე 123 ათასი კილოვატს უდრის, მოძრაობაში მოჰყავთ ქარხნებისა და ფაბრიკების მანქანები, შუქს აწვდიან საქართ-

ველოს ქალაქებსა და სოფლებს. რევოლუციამდე საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრე ძლივს აღწევდა 8 ათას კილოვატს, ელექტრონის განათება ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიისათვის იყო ხელმისაწვდომი.

განსაკუთრებით შესანიშნავია საქართველოს წარმატებანი **სოფლის მეურნეობის დარგში**. საბჭოთა საქართველომ, რომელიც განუხრელად ასრულებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებებს, სწორად განსაზღვრა თავისი სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზი, რასაც ჰავისა და ნიადაგის პირობები უკარნახებენ, და გადაიქცა საბჭოთა კავშირში ერთადერთ მხარედ, რომელიც სამრეწველო ოდენობით ამზადებს მთელი საბჭოთა კავშირისათვის ისეთ აუცილებელ პროდუქციას, როგორიც არის ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, მაღალხარისხოვანი საექსპორტო თამბაქო, იშვიათი ჯიშის ხეები (ტუნგო, კეთილშობილი დაფნა, ევკალიპტი და მრავალი სხვა). ეს სპეციალური და ტექნიკური კულტურები საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებას შეადგენენ.

რევოლუციამდე ჩაის პლანტაციების ფართობი საქართველოში რამდენიმე ასეულ ჰექტარს ძლივს აღწევდა. ამჟამად ჩაის უკვე 45 ათასამდე ჰექტარი უკავია.

1921 წელს დამზადებულ იქნა სულ 550 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, გასულ წელს — 27 მილიონზე მეტი კილოგრამი, ხოლო მიმდინარე წელს გეგმით დასახულია 35 მილიონი კილოგრამი ფოთლის დამზადება, რაც გადამუშავებულ იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ 36 ჩაის ფაბრიკაში და მოგვცემს 9.600 ათას კილოგრამზე მეტ ხმელ ჩაის. იგი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში „საქართველოს ჩაის“ სახელწოდებით და თავისი თვისებებით არ ჩამოუვარდება ცეილონის, ჩინური და იაპონური ჯიშის ჩაის.

დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეებმა, რომლებსაც თავის პლანტაციებზე მოჰყავთ ჩაი, მარტო 1937 წელს ჩაბარებულ ჩაის ფოთოლში მიიღეს 52 მილიონ მანეთზე მეტი და 29 მილიონი მანეთი საწარმოო კრედიტი.

ციტრუსები (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი) რევოლუციამდე მხოლოდ ცალკეულ კერძო მეურნეობებში მოჰყავდათ შავი ზღვის სანაპიროზე, როგორც იშვიათი მცენარეები. ამჟამად საქართველოში ციტრუსებს უკვე 6 ათასამდე ჰექტარი უკავია, მიმდინარე წლის ნარგავებიანად კი ციტრუსების ფართობი თითქმის 9 ათას

ჰექტარს მიაღწევს. გასულ წელს საქართველოს ციტრუსების პლანტაციებმა 300 მილიონ ცალზე მეტი ციტრუსის ნაყოფი მისცა საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს.

საქართველოს მაღალხარისხოვანმა, საექსპორტო თამბაქოებმა გასულ წელს 21 ათასი ჰექტარი ფართობიდან 17 ათას ტონაზე მეტი თამბაქო მოგვცეს. თამბაქოს ჩაბარების გეგმა მიმდინარე წლის 25 მარტისათვის შესრულებული იყო 101 პროცენტით.

როგორც ცნობილია, საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — **მევენახეობა** მენშევიკებმა საქართველოში ბატონობის წლებში თითქმის სრულ განადგურებამდე მიიყვანეს.

ამჟამად ვენახების ფართობი 41 ათას ჰექტარს აღემატება და, რაც მთავარია, მიღებული ზომების მეოხებით, ლიკვიდირებულია ფილოქსერა, რომელიც წარსულში ათასი ჰექტარობით სპობდა ვენახის პლანტაციებს.

საქართველოს ღვინო სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთერთ საუკეთესო ღვინოდ. ამჟამად ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით დაწყებულია შამპანური ჯიშის ყურძნის კულტივირება და საბჭოთა შამპანურის დაყენება.

გარდა ვაშლის, მსხლის, ატმის, ბლის, ალუბლისა და სხვ. ხილის მოყვანისა, რომლებსაც ამჟამად საქართველოში 43 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ, ინტენსიურად ვითარდება სუბტროპიკული მეხილეობა — იაპონური ხურმა, მუშმულა, ფეიხოა და სხვ.

მნიშვნელოვნად გაიზარდნენ სხვა უძვირფასესი კულტურების ნარგავები — ტუნგო, ეთეროვანი კულტურები, ევკალიპტი და სხვ.

1930 წელს ტუნგოს პლანტაციებს სულ 1 ჰექტარი ეჭირა. ამჟამად ამ ძვირფას კულტურას, რომელიც საავიაციო მრეწველობისათვის საჭირო ტექნიკურ ზეთსა და მთელ რიგ სხვა ძვირადღირებულ პროდუქტებს იძლევა, დაახლოვებით 10 ათასი ჰექტარი უჭირავს და მიმდინარე წელს ეს ფართობი კიდევ გადიდდება 3 ათასი ჰექტარით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სრულიად არ მოჰყავდათ ეთეროვანი გერანი, ხოლო წელს ეთეროვანი გერანის პლანტაციებს 1.200 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ.

1938 წლის დამდეგისათვის დარგულ იქნა 2.500 ათას ძირზე მეტი ევკალიპტის ხე და მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია კიდევ 2.770 ათასი ძირის დარგვა.

მავნებლების მიერ საქართველოს მეცხოველეობისათვის 1930—1931 წლებში მიყენებული ზიანი ამჟამად ლიკვიდირებულია. უკანასკნელი აღწერის მიხედვით, 1938 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს ჰყავდა 1.752 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ნაცვლად 1.301 ათასი სულისა 1913 წელს; 1.952 ათასი სული ცხვარი და თხა, ნაცვლად 1.854 ათასი სულისა; 682 ათასი სული ღორი, ნაცვლად 284 ათასი სულისა 1913 წელს. ცხენების სულადობა, 1913 წელთან შედარებით, 39 პროცენტით გადიდდა.

საქართველო სამართლიანად სარგებლობს ჯანმრთელობის სრულიად საკავშირო კერის სახელით.. საბჭოთა კავშირის მშრომელთა შასებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ისეთი კეთილმოწყობილი კურორტები, როგორიცაა ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, ქობულეთი, გაგრა, სუხუმი.

უდიდესი სახსრებია დაბანდებული საქართველოს კურორტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის. ამჟამად ეს კურორტები წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა დასვენების კულტურულ და კეთილმოწყობილ ადგილებს.

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ პირობები შეჰქმნა წარმატებებისათვის კულტურის დარგში.

ქართულ კულტურას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს მიეცა სწრაფი აღორძინებისა და შემდგომი განვითარების საშუალება.

თავისი უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ორდენოსანი საქართველო ეგებება როგორც მაღალკულტურული ქვეყანა, როგორც ერთერთი მოწინავე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში.

ამჟამად საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანაა. მთელს რესპუბლიკაში გატარებულია საყოველთაო დაწყებითი სავალდებულო სწავლება ოთხწლედის ფარგლებში, ხოლო ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში — შვიდწლედის ფარგლებში.

საქართველოს სასწავლებლებში, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, ჯეროვანი ყურადღება ექცევა რუსული ენის შესწავლას, როგორც დიდ რუს ხალხთან ძმური ურთიერთობის მძლავრ საშუალებას, როგორც რუსეთის უმდიდრეს კულტურასთან გაცნობის საშუალებას.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოშვებულია სხვადასხვა სპეციალობის 15 ათასზე მეტი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, არქიტექტორი, პედაგოგი და სამეცნიერო მუშაკი.

საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა გამოვიდა სსრ კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგებში.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლებიც მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებიან მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, რეჟისორებს, აქტიორებს, ხელოვნების ყველა მუშაკს, უზრუნველჰყვეს მათი განუხრელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა. აღიზარდნენ მხატვრული სიტყვის, თეატრის, კინოს, მუსიკის დიდი ოსტატები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ქართული ხელოვნების აყვავება ბრწყინვალე დადასტურებაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორისა, რომელმაც საშუალება მისცა განთავისუფლებულ ქართველ ხალხს სავსებით გაეშალა თავისი მდიდარი შემოქმედებითი ნიჭი.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებამ. იზრდება მტკიცე, ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებელთა მძლავრი კადრები.

და ხალხის წიაღში იქმნება თავისი ძალითა და მეტყველებით განსაკუთრებული სიმღერები ლენინზე, სიმღერები სტალინზე, სიმღერები ქართველი ხალხის ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებაზე.

ხალხის უბოროტესი მტრები, ფაშიზმის მენშევიკ-ტროცკისტ-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტები ცდილობდნენ ჩაეშალათ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა საქართველოში.

საქართველოს ბოლშევიკებმა, ამხანაგი სტალინის ბრძნული მითითებებით შეიარაღებულებმა, გაანადგურეს მტრის ძირითადი ბუდეები.

სწმენდნენ რა თავის რიგებს ყოველგვარი უწმინდურებისაგან, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა აღზარდეს და ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაურეს აქტივის ახალი კადრები, ათასობით ახალი შემოწმებული ადამიანები, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, საკ .კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი ბოლომდე ერთგულნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს დაწინაურდნენ აქტივის ახალი კადრები. არჩევნებმა ცხადჰყვეს ქართველი ხალხის ურყევი დარაზმულობა ბოლშევიკების პარტიის ირგვლივ, დიადი საბჭოთა ქვეყნის ლენინურ-სტალინური მთავრობის ირგვლივ.

საქართველოს ამომრჩეველთა 99,1 პროცენტმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოში წარსული არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა 96,2 პროცენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამოცდილების გათვალისწინებით, მასებში ბოლშევიკური მუშაობის ორგანიზებით, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები უზრუნველჰყოფენ ამომრჩეველთა ასპროცენტიან მონაწილეობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში.

ხალხის მტრებმა თავისი საზიზღარი, ძირგამომთხრელი მუშაობით ცოტა ზიანი როდი მიაყენეს საქართველოს მშრომელებს. ყურადღება, მზრუნველობა და მუდმივი დახმარება, რომელსაც ქართველ ხალხს უწევენ პარტია, მთავრობა და ამხანაგი სტალინი, ჩვენ გვავალებს უსწრაფესად მოვახდინოთ მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია სახალხო მეურნეობაში, გვავალებს აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვთ ჩვენს მუშაობაში.

მრეწველობის დარგში ჩვენ ვისახავთ შემდეგ ამოცანებს: ქვანახშირის მაღაროების მუშაობა ტყიბულსა და ტყვარჩელში მოვაწყოთ ისე, რომ სავსებით უზრუნველვყოთ ჩვენი ქვანახშირით არა მარტო საქართველო, არამედ ამიერკავკასიაც; ჩავატაროთ მოსამზადებელი მუშაობა „საქნავთის“ სარეწაოებზე იმ ანგარიშით, რომ უკვე 1939 წელს გავშალოთ ნავთის სამრეწველო ამოღება; მოვამარაგოთ საბჭოთა კავშირის საწარმოები მარგანეცით და სხვადასხვანაირი მაღალხარისხოვანი ლითონ-შენადნობებით, მაქსიმალურად დავაჩქაროთ იშვიათი ლითონების კვლევა და მოპოება, რათა დავაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ძვირფას ლითონებზე, პირველ ყოვლისა, ისეთებზე, როგორიცაა დარიშხანა, გავაუმჯობესოთ მუშაობა მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის დარგში, რათა უზრუნველვყოთ ნატურალური აბრეშუმის მაღალხარისხოვან ქსოვილთა გამოშვება.

უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც პარტიამ და ამხანაგმა სტალინმა დასახეს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში, ის არის, რომ მივაღწიოთ ჩაის იმპორტის შეწყვეტას და სავსებით უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება საქართველოს ჩაით. საქართველოს ჩაის პლანტაციებისა და ჩაის მრეწველობის განვითარების ტემპები ისეთია, რომ

უახლოეს 2 — 3 წელიწადში სსრ კავშირს შეუძლიან შესწყვიტოს ჩაის იმპორტი.

უახლოეს 2 — 3 წელიწადში საბჭოთა ქვეყნის მშომელებს ჩვენ საკმაო რაოდენობით უნდა მივცეთ მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. წელს ჩვენ დავამზადებთ 400 მილიონ ცალზე მეტ ციტრუსს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, 1940 წლისათვის ციტრუსთა პლანტაციების ფართობს ავიყვანთ 20 ათას ჰექტარამდე.

ფოთის რაიონში კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები საშუალებას მოგვცემს მომავალში ეს დაბლობი გადავაქციოთ ისეთ მხარედ, სადაც გაშენებული იქნება ციტრუსებისა და ჩაის მთლიანი პლანტაციები და ევკალიპტის ხეები.

ევკალიპტი შესანიშნავი ხეა, რომელსაც სხვა ძვირფას თვისებებთან ერთად აქვს სწრაფად ზრდის უნარი. ევკალიპტის ხე სათანადო მოვლისას 4 — 5 წლის განმავლობაში ათ-ხუთმეტ მეტრ სიმაღლეს აღწევს.

ვაუმჯობესებთ რა საქართველოს ღვინოების ხარისხს და ვადიდებთ რა ვენახებით დაკავებულ ფართობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩვენ 1940 წელს უნდა გამოვუშვათ აგრეთვე 4 მილიონი ბოთლი მაღალხარისხოვანი საბჭოთა შამპანური.

იმისათვის, რომ ეთეროვანი ზეთით უზრუნველვყოთ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარფიუმერიის მრეწველობა, გეგმით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი განვითარება ეთეროვანთა პლანტაციებისა, კერძოდ გერანის პლანტაციებისა, რომლებიც 1940 წელს დაიკავებენ 3.000 ჰექტარ ფართობს და მოგვცემენ 100 ტონამდე ძვირფას და ძვირადღირებულ გერანის ზეთს, რაც პარფიუმერიის მრეწველობისათვის საჭიროა მაღალხარისხოვანი საპნის, სუნამოს და სხვ. გამოსაშვებად.

საქართველო არის ერთადერთი რაიონი, რომელიც საბჭოთა კავშირის მრეწველობას ამარაგებს კეთილშობილი დაფნით, რომელიც მეტად რენტაბელურია და დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეებს.

ჩვენ ამოცანად დავისახეთ გავაფართოოთ დაფნის კულტურის პლანტაციები იმ ანგარიშით, რომ უახლოეს 2 — 3 წელიწადში უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მთელი კვების მრეწველობის მოთხოვნილება დაფნაზე.

ჩვენ ამოცანად ვისახავთ სავსებით უზრუნველვყოთ საქართველოს მშრომელნი საკუთარი მარცვლეულით და კარტოფილით, რაც უკვე უახლოეს წლებში (კარტოფილის მხრით 1939 წელს, ხოლო მარცვლეულისა — 1940 წელს) საშუალებას მოგვცემს განვტვირთოთ რკინიგზის ტრანსპორტი ამ პროდუქტების გადმოზიდვისაგან საბჭოთა კავშირის ცენტრალური ოლქებიდან.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ჩამოთვლილი დარგები ამჟამად მტკიცედ დამკვიდრდნენ საქართველოს ეკონომიკაში და მათი განვითარების პერსპექტივები არავითარ ეჭვს არ იწვევს. ისინი შეადგენენ საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი და სწრაფი ზრდის ეკონომიურ საფუძველს, ჰქმნიან რა ხელსაყრელ პირობებს ქართველი ხალხის კულტურული დონის კიდევ უფრო მეტი ამაღლებისათვის.

ქართველი ხალხი განუყოფელია საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახისაგან.

სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა მტკიცეა, როგორც სალი კლდე.

საქართველოს ბოლშევიკებს და მთელ ქართველ ხალხს მაღლა და მტკიცედ უჭირავთ თავის ხელში ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა.

ეგებება რა თავისი უმაღლესი საბჭოს პირველ არჩევნებს, ქართველი ხალხი ურღვევ ფიცს სდებს მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადის დიდი სტალინის წინაშე — სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვას მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესები, მკერდით დაიცვას საბჭოების ქვეყანა მტრის თავდასხმისაგან მისი თვალუწვდენი საზღვრების ყოველ უბანზე.

ვაჟვალა გრეგლიშვილი

ალბერტ
თორმეტ იეხისხე

თიბათვის მზეც ჩვენთან მზეობს,
გვირთავს სხივთა ყაითანს,
დღეს ისეთი ზეიმი გვაქვს,
ხალხი ზღაპრად გაიტანს.
ვეტყვით ამორჩეულებს,
შევარდენთა სადარებს:
გაგვიძეხით, რჩეულნო,
ხელის გულზე გატარებთ.
ქართველ ხალხის სიხარული
ერთ სიმღერად გაისმა;
თიბათვის ცა დაგვიშაქრა
მოღალანე მაისმა.
გადავნუსხე სადღეისოდ ,
ანთებული ტატნობი,
ხშირ ჯეჯილებს გავერიე,
ფხიან სიტყვას ვნატრობდი: —
და აღელდა მთა და ველი,
გულმა ეშხით იალა,
დამატყვევა ხშირმა ყანამ,
გზა შემიკრა შრიალამ:

— ჩემი სიტყვაც დასწერე,
მინდვრით შემოტანილი,
ჩვენ პირველად ავირჩიოთ
საყვარელი სტალინი.
მაქმანებით დაფენილა
ეს ზეცა და ეს ყანა.
ხმას მეც გაწვდენ სიამაყით,
საბჭოეთის ქვეყანავ.
დღევანდელი სიხარული
ერთ სიმღერად გაისმა,
რა ამინდი დაგვიშაქრა ,
ბოლოანე მაისმა!

ალეკო შენგელია

ნინო აგაშენაშვილს

სტახანოველ ნინო აგაშენაშვილს,
საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს დეპუტატობის ყველაზე
ახალგაზრდა კანდიდატს. —

შარიშურობდნენ ტბის ნაპირები
და სიოს ქროლვა გისალბუნებდათ,
საგაზაფხულო დანაპირებით
შემოგცინოდათ სოფლის ბუნება...
  სიმღერას უმალ ააყოლებდით
ჭარის დარხეულ გრიალა ნადურს,
შემდეგ ღაჟღაჟა ვარდის ტოლები
მიაშურებდით მუხას ფესვგადგმულს.
  ამბობდით ამბავს ოქროს აკვანზე,
ტბა ანკარებდა დაცრემლილივით,
თითქოს ლეგენდის წარმტაც ნაკვანძევს,
უალერსებდა მისი ლივლივი...
  შემდეგ.. დღეები დადგა სხვაგვარი,
გული საქები აზრით აივსე,
გადაგეშალა უცხო ზღაპარი,
დიდი ქალაქის სიდარბაისლე.
  როცა უჯრედის კარი შეაღე
და კომკავშირის დაიწყო სხდომა,
თითქოს შენს სურვილს ხელი შეახეს,
შემოგეფანტა პირველი კრთომა.

კომკავშირელი ქალი ხდებოდი,
რასაც ნატრობდი, რაც ასე გსურდა,
თვალანთებული ‹მისჩერებოდი
ბელადის სურათს...
მიენდე დაზგებს მკლავამართული,
და გაზაფხულის ჩაიდგი სითბო,
გულს მოშრიალე მაქო-დართული,
და აბრეშუმის შრიალი გიტკბობს.
მოგდის წერილი: როგორ გიამა,
შენი ტოლების დღე სასურველი,
თითქოს წერილთან შემონიავდა,
კოლექტიური სოფლის სურნელი.
გწერენ: „ლეგენდა აღარ გვადარდებს
ოქროს აკვანმა გმირი გაზარდა,
ვკრეფთ ტბის ნაპირზე ღაჟღაჟა ვარდებს
მისი სახელის მოსაქარგადა“...
როცა ჯანმაგარ მკლავს გააბრძოლებ,
დგება შრიალა ნაქსოვის ხვავი.
კვლავ მოიგონებ საყვარელ ტოლებს
და ბაზალეთის ვარდივით ჰყვავი.
ხარ ბაზალეთის ვარდის ფურცლობა,
გულში ჩაგიკრავს სამშობლო მხარე,
რომ დარჩე ჩემთვის ისევ უცნობად,
მაინც გამათბობ და გამახარებ.

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

მე თორმეტ ივნისს დილა-ადრიან
ფრთოსნებს დავასწრებ გამოღვიძებას.
ქვეყნად ბელადის შარავანდია
და უბნისაკენ ის წამიძღვება.
ვისიც მარადი მზის სხივოსნება
და სიყვარული გვადგას ნათელი,
მას მიეძღვნება ხოტბა მგოსნების,
მას გაჰყოლია გული ქართველის.
ჩემი სიცოცხლის ჩაქრობის დღემდე,
ჩემი სისხლით და ჩემი ლექსებით,
მეც ჩემი ქვეყნის გადაშლილ ედემს
და ჩემს საბჭოებს დავემწყემსები.
და მარგალიტთა ფერად მძივებად
ვრცელი ბუნება მზით მონასხური
გადიხსნის ღილებს, გაეღიმება
და აღტაცებას დამიდასტურებს:
ბარი ბანს იტყვის მთის სასახელოდ,
მთიდან წამოშლის მწყემსი ჯეირნებს,
მზე დაეშვება და საქართველოს
ლაჟვარდ მინდვრებზე გაისეირნებს.

ამბავი იგორის ლაშქრობისა

იგორის, ძისა სვიატოსლავისა
და ოლეგის ძის ძისა.

ეგებ უფრორე არს მართებული
გმირულ ამბავთა ადრინდელ წყობით
ვიწყოთ, მოყმენო, საგალობელი
მთავარ იგორის ლაჭრად გასვლისა,
იგორის, ძისა სვიატოსლავისა.
აწ-კი იწყების სიმღერა ესე
ამ ჟამთა ნამდვილ ამბავთა გვარად
და ბოიანსა გუმანის გარე.
როს ბოიანსა გულთამხილავსა,
სურდა ვინმესთვის ქება შეეთხზა,
შთაგონებული ის მიილტვოდა
ხის კენწეროზე სინჯაფის გვარად,
მიწასა ზედა ლეგა მგელივით,
ლრუბელთა ქვეშე ვეჟან ორბივით.
ახსოვდა მისანს და გვიამბობდა
ადრინდელ დროთა ურდუმის ამბებს.
მაშინ აფრენდა ათ შევარდენსა
გედების გუნდზე და შევარდნისგან
პირველი გედი წამოფრენილი,
უმალ მღეროდა ქებას უხუცეს
იაროსლავზე და გულად მსტიდლავზე,
ვინაც აჩეხა თვით რედედია

ქაშაგელ ლაშქრის წინარე მდგომი,
და უგალობდა უმშვენიერეს
რომანსა, ძესა სვიატოსლავისას.
მართლა, მოყმენო, ბოიანი ხომ
ათ შევარდენით არ მინდოროობდა
გედების გუნდზე, მაგრამ მისანი
ჯადოქარ თითებს დაალაგებდა
ცოცხალ სიმებზე და თვით სიმები
აღუღუნებდნენ მთავრების ხოტბას:
მოვყვეთ, მოყმენო, ამბავი ესე,
ძველ ვლადიმერის დროდან მდინარი
ამჟამად მცხოვრებ იგორამდისინ,
ვინაც შემართა გონების ციხე
და ვაჟკაცობით გული გამახა;
აღივსო იგი საომარ სულით
და გააქანა სპანი მამაცნი
ყივჩაღთა მიწის დასათრგუნავად,
რუსული მიწის გასადიდებლად.

როცა იგორმა ზევით განხედა
ბარჩხალა მზესა, მან დაინახა
მზით გადმოსული წყვდიადით იყო
ჩამობურული მისი ლაშქარი.

და უთხრა ლაშქარს მაშინ იგორმა:
ძმანო და სპანო, უმჯობესია
აგვჩეხონ, ვიდრე შეპყრობილ ვიქნეთ;
მოვახტეთ, ძმანო, ჩაუქ მერნებსა
და გადავხედოთ დონის სილურჯეს.
დაიმონავა მთავრის გონება
დიადი დონის ჭაშნიკის ჟინმა
და ამ წყურვილმა გადაავიწყა
მზით მოვლენილი ავი ნიშანი.
წარმოსთქვა: მინდა გადავტეხოვო
შუბი ყივჩაღთა მინდორის ბოლოს,
თქვენთან, რუსებო, თავი გავწირო,
ან მუზარადით დავლიო დონი. – –
ოჰ, ბოიანო, გადასრულ დროთა
ბულბულო, რომე სპისთვის გემღერა,

შენ შთაგონების ხეზე გოგმანავ,
ღრუბელთა ქვეშე ფიქრით გექროლა,
ნათქვამ ხოტბაში შენ ჩაგექსოვა
განვლილ დროის და აწმყო სახელი
და ტროიანის კვალს გაჰყოლოდი
მინდორზე სრბოლით მთის სიმაღლემდე,
უნდა გემღერა ქება ამგვარად
ოლეგის მოთა იგორისადმი:
„ვრცელ მინდორიდან შევარდნის გუნდებს
არ მოაქროლებს ქარიშხლის ძალა,
მხოლოდ ჭილყვავთა გუნდნი მორბიან
დიად დონისკენ გადმორეკილი“.
ან უნდა გეთქვა ქება, მიხანო,
შენ ბოიანო, ველესოს მოთავ;
„სულას გაღმაა ცხენთა ჭიხვინი;
კიევში ისმის დიდების ჟღერა.“

ბუკთა ყიჟინი დგას ნოვგოროდში
და პუტივლს სჩანან დროშები შლილი.

იგორი ელის უსაყვარლესსა,
უსიამესსა ძმას ვსევოლოდსა.
და ვსევოლოდი უტეხი ხარი
ეტყოდა იგორს: ერთი ძმა მყავხარ,
ერთი ბარჩხალა ნათელი მყავხარ,
შენ, ძმაო იგორ, და ჩვენ ორივე
ვართ მემკიდრენი სვიატოსლავისა.
დარახტე, ძმაო, შენი ჩაუქი
ბედაურები, ჩემი მზად დგანან
კურსკის წინარე დარახტულები.
გაგეგონება, ჩემი კურსკელნი
რომ მომახული რაინდებია.
ბუკთა ყიჟინში გამორანდულან,
ჩაჩქანთ ჟღარუნში ნებივრებულან,
შუბის წვერზედა აცმული კერძით
გამოკვებილან, იცნობენ გზებსა
და ორწოხებშიც უნავარდნიათ.
მათი შვილდები მოჭიმულია,

კაპარჭებია პირგადახსნილი,
და მათი ხმლები მოკისკასეა,
თვითონ მიჰქრიან გაშლილ მინდორზე,
თითქო არიან ყომრალი მგლები;
სურთ დაიმკვიდრონ ომში გმირობა
და მოუხვეჭონ მთავარს სახელი.

მაშინვე შედგა მთავარი იგორ
ოქროს უზანგზე და გაეშურა
ტრიალ მინდორზე. მზემან წყვდიადით
სამოგზაურო გზა დაუბნელა;
ღამემ ფრინველნი ქარიშხლის გმინვით
გამოაღვიძა და მისმა სტვენამ
ირგვლივ მხეცების ჯოგი შეჰყარა.
ხის სიმაღლიდან აჯალი ჰკივის;
ბრძანებს უსმინოს: ვერანმა მიწამ,
ვოლგის ზღვისა და სულას ნაპირმა
შემდეგ სუროჟმა, ქალაქ ქორსუნმა,
და შენც, ფიტულო თმუთარაყანის.

ხოლო ყივჩაღნი უსიერ გზებით,
უკვე მორბიან დიად დონისკენ;
მათი ფორნებიც ღამით ყივიან,
როგორც დამფრთხალი გედების გუნდი.
იგორს დონისკენ ლაშქარი მიჰყავს
და ფათერაკი მისი მხლებელი
ფრინველებს მწყესობს მუხებსა ზედა.
მგლები ორწოხებს ჭექა-ქუხილის
მოსვლას ამცნობენ და არწივები
მხეცებს იწვევენ ძვლებზე ყივილით.
მელაც შეჰკივის მეწამულ ფარებს.
ჰოი, შენ რუსთა მიწავ, მამულო,
მთების გადაღმა ხარ დარჩენილი!
დიდხანს გასტანა ღამის წყვდიადმა,
რიჟრაჟის შუქიც გადაკარგულა,
მრუმემ დაჰფარა დიდი მინდორნი,
ბულბულის სტვენაც მირულებულა,
ჭილყვავის განგაშს გამოეღვიძა,

ვრცელი მინდორი წითელ ფარებით
წინ გადაღობა რუსთა ლაშქარმა,
რომ დაიმკვიდროს ომში გმირობა
და მოუხვეჭოს მთავარს სახელი.
დილა ადრიან პარასკევ დღესა
მათ გადათელეს ბილწი ლაშქარი,
და ისრებივით გაფანტულებმა
ტრიალ მინდორზე თან გააქროლეს
ქალნი ლამაზნი ყივჩაღებისა,
ქალებთან ერთად მათ გაიტაცეს
ოქრო, ოქსინო და სხვა ქსოვილნი.
ტან საბურავი, ჯუბა და ქურქი
და ყივჩაღური ნაყშიანები
გადააფინეს ხიდეებივით,
ჭაობებსა და ჭანჭრობ ადგილებს.

ყირმიზი დროშა, თეთრი ბავრაყი
ვერცხლის ჭოკი და ყირმიზი თუღი
ერგო გულად ძეს სვიატოსლავისას.

რულავს მინდორში მამაცი ბუდე
ოლეგის მოდგმა. ძალზე შესტოპეს!
არა შობილან ისინი ქვეყნად
დასამცირებლად, არც შევარდნისთვის,
არც სონლულისთვის და აღარც შენთვის
ყივჩაღთა ბილწო, შავო ყორანო!

გზაყი გამორბის ლეგა მგელივით,
ყონჩაღიც გზაყსა წამოყოლია
და გზას უკაფავს დიად დონისკენ.
მეორე დღესვე სისხამი დილით,
მეწამულ ფერის ცის დაფიონი
ლაშქარს აუწყებს რიჟრაჟის მოსვლას.
შავი ღრუბლები მოდიან ზღვიდან,
უნდათ დაფარონ ოთხი მზის შუქი
ღრუბლებში თრთიან ლურჯა ელვები,
ალბათ იქნებ დიდი ქუხილი,
წამოვა წვიმა ისრების გვარად,
დიად დონიდან გადმოტყორცნილი.

აქვე შუბები გადატყდებიან,
ცისკარსა ხმლებიც დაეჭდებიან
ყივჩაღთა ლაშქრის მუზარადებზე
კაიალაზე, დიად დონთანა.

ჰოი, შენ რუსთა მიწავ, მამულო,
მთების გადაღმა ხარ დარჩენილი!

აი ქარებიც, სტრიბოგის მოდგმა,
ზღვიდან მსრბოლავი ისრების გვარად
იგორის მამაც ლაშქარს ატყდება .
შიწა გუგუნებს, დიან მღვრიენი
მდინარენი და ბდღვირმა დაფარა
ვრცელი მინდორი, თითქო ღმუიან
დროშები ქარში: უკვე ყივჩაღნი
მოდიან ზღვიდან, დიად დონიდან,
ყოველის მხრიდან გარს შემოერტყნენ
რუსების ლაშქარს. ქაჯების მოდგმა
საზარ ყიჟინით გადმოიგრაგნა
გაშლილ მინდორზე, ხოლო რუსები,
შეუდრეკელნი, წითელ ფარებით
გადაეღობნენ ყივჩაღთა ლაშქარს.
შენ, ვსევოლოდო, ფიცხელო ხარო!
სდგეხარ ბრძოლაში და სეტყვასავით
ისრებსა სტყორცნი მტრის მეომრებზე.
ჯევარდენ მახვილს შენ ამჭექარებ
ყივჩაღთა ლაშქრის მუზარადებზე.
სადაც იელვებ ოქროს ჩაფხუტით,
ხარო მჭროლავო, იქ ჰყრია, ჰყრია
ბილწი თავები ყივჩაღებისა.
დაგიჩეხია შენ ჩაფხუტები
ავარიული, ხარო ველურო,
ავარვარებულ ხმალის კისკასით.
რაა მოყმენო, მისთვის ჭრილობა,
ვინც დაივიწყა უკვე სიცოცხლე
თავის ღირსება და ჩერნიგოვი.
მამისეული ტახტი ოქროსი,
ან სასურველი თავის მეუღლე

ულამაზესი გლების ასული,
მისი ტრფობა და მისი ალერსი!

იყო დროება ტროიანისა,
წარვიდნენ წლებიც, იაროსლავისა,
იყო ლაშქრობაც წინათ ოლეგის,
ოლეგის, ძისა სვიატოსლავისა,
იგი ოლეგი მკვეთრი მახვილით,
შფოთსა და ამბოხს ჩვენში ნერგავდა
და ისრებს სთესდა რუსულ მიწაზე.
ოქროს უზანგზე ჟღერით დგებოდა
ოლეგი ქალაქ თმუთარაყანში
და მაშინდელი მისი ჟღერანი
ესმოდა დიად იაროსლავისა
ძესა ვსევოლოდს, ხოლო ვლადიმერ
ჩერნიგოვს მყოფი, ყოველ დილაზე,
ყურებს იხშობდა გაჯავრებული.
შემდეგ ბორის ძე ვიაჩესლავის,
საომარ ხოტბით წაქეზებული,
თვით წარემართა ღვთის სამსჯავროში.
მებრძოლს ოლეგის ღირსებისათვის,
შეუდრეკელსა აბოვან მთავარს,
კაიალასთან მწვანე ბალახი
ქვეშ გაუფინეს როგორც სუდარა.
ამ კაიალით თვით სვიატოპოლკმაც
თვისი სიმამრი ხომ წაასვენა
უგარიელთა იორღებს ზედან
კიევის წმინდა სოფიის ტაძარს.
მაშინ ვარამი ოლეგის დროში
დათესილიყო და იზრდებოდა
შფოთი, ამბოხი, ნადგურდებოდა
დაბოგის მოდგმის დოვლათი ქვეყნად.
მთავართა შფოთში ხალხის სიცოცხლე
მოკლდებოდა და იკვეცებოდა.
მაშინ პოხიერ რუსულ მიწაზე
გუთნის დედები ერთი მეორეს
იშვიათად თუ გადასძახოდნენ.
მხოლოდ ყორნები ხშირად ჩხაოდნენ
და ერთმანეთში იყოფდნენ ლეშებს,

ჭილყვავიც თავის ბაას იწყებდა,
რადგან უნდოდა კერძთან მიფრენა.
ასე ხდებოდა მაშინდელ ომში
და ლაშქრობაში, მაგრამ ამგვარი
ლაშქრობა ქვეყნად არ გაგონილა.

გარიჟრაჟიდან საღამომდისინ
და საღამოდან ალიონამდის
ქროდნენ ისრები მოვარვარენი,
ჩახაჩუხობდნენ ჩაფხუტებზედან
ხმლები კისკასა და ჯევარდენულ
შუბებს გაჰქონდა ბნელი ჩხრიალი
ყივჩაღთა მიწის უდაბურ ველზე.
ბედაურების ტორებით ხნული
იყო ყამირი ძვლით მოთესილი,
იყო ყამირი სისხლით მორწყმული,
და ყოველივე ვარამის გვარად
აისდებოდა რუსულ მიწაზე.
რა ჩამშრიალებს, რა ჩამჟღარუნებს
მე შორეულად ასე ადრიან
ალიონის წინ. ეს იგორია
ლტოლვილ მეომრებს იგი აბრუნებს.
მას ებრალება უსაყვარლესი,
და უამესი ძმა ვსევოლოდი.
ერთ დღეს იომეს, მეორე დღესაც,
და მესამე დღეს ჟამს შუადღისას
დაბლა დაეშვა დროშა იგორის.
ჩქარ კაიალის მდინარის პირად
ძმები განშორდნენ ერთი მეორეს.
სისხლიან ღვინომ აღარ იკმარა
და დაასრულეს მედგარ რუსებმა
ლხინი დიადი, თვისი მზახლებიც
დაათვრენ, მოკვდნენ რუსულ მიწისთვის.
ბალახი ჭკნება საცოდაობით,
ხეც კაეშანით მიწას დაემხო.

აი, მოყმენო, უკვე დუხჭირი
დროება დადგა და ძლიერება
გავერანდა და გაუდაბურდა.

დაბოგის მოდგმის ძლიერ ლაშქარში
ჩადგა სიავე, როგორც ქალწული
ესტუმრა მიწას ტროიანულსა,
ამოჩქაფუნდა გედის ფრთებითა
ცისფერ ზღვაზედა დონის მახლობლად
და მოფართქალე ფრთით გადარეკა
სიამის დრონი. შეწყდა მთავართა
ბრძოლა მურდალთა დასათურგვნელად,
რადგან ძმა ძმასა ესიტყვებოდა:
„ეს ჩემი არის და ესეც ჩემი“.
მცირე რამეებს თვითონ მთავარნი
აზვიადებდნენ და დაამკვიდრეს
შფოთი ამბოხი ურთიერთ შორის.
ხოლო ბილწები აღრევის გამო
ძლევამოსილნი მოიგრაგნოდნენ
ყოველი მხრიდან რუსულ მიწაზე.

ჰო, შორს შესტოპე, შენ შევარდენო!
ფრინველთა რბევით ზღვისკენ მქროლავო!

აწ არასოდეს უმამაცესი
სპა იგორისა აღარ აღსდგების!

მათ მიჰკიოდა უკან კორინა,
ჟელიაც გარბის რუსულ მიწაზე
ფანტავს ფერფლსა და სიკვდილის ცეცხლსა
ანთებულ ყანწში შემონახულსა.
რუსთა ცოლებიც შეთქმით ტიროდნენ:
ჩვენს ტურფა ქმრებზე აწ ვერ შევიძლებთ
საზრით ვისაზროთ, ფიქრით ვიფიქროთ.
აწ მათ თვალითაც ველარ ვიხილავთ
და ოქრო ვერცხლსაც ველარ გავცვეთთო!

მოყმენო, კვნესის კიევი დარდით
და ჩერნიგოვი მომდგარ ვაებით.

ვარამი ჩადგა რუსულ მიწაში
და ღრმა ნაღველი წარმომდინარდა

რუსული მიწის გაშლილ არეზე.
მთავრები კიდევ თვით ამკვიდრებდნენ
ამბოხებას და შინაურ შფოთსა;
ხოლო ბილწები გამარჯვებულნი
მოიგრაგნოდნენ რუსულ მიწაზე
და ღებულობდნენ ყოველ კომლიდან
ხარკად სინჯაფის თვითეულ ქურქსა.

ამ ორმან ძემან სვიატოსლავისამ
გულად იგორმა და ვსევოლოდმა
კვლავ აღადგინეს უკულმართობა,
რომელიც მოსპო იმათმა მახვშმა,
თვით სვიატოსლავმა დიდმა მრისხანემ.
კიევის სპეტმა ჭექა-ქუხილით
მოჰგვარა ძრწოლა მტერს და ჯევარდენ
მახვილებით და ძლიერი ლაშქრით
იგი დაატყდა ყივჩაღთა მიწას;
ბორცვნი და ხევნი გადაუთელა,
წყალნი და ტბანი მათ აუმღვრია
დაუშრო წყალი ტბორებსა შინა
და მდინარენი ამოუწრიტა.

შემდეგ მურდალი ყობიაყი
ყივჩაღთა რკინის დიად ლაშქარსა
ზღვის წიაღიდან მან გამოსტაცა
როგორც გრიგალმა, დავარდა დაბლა
ყობიაყი ქალაქ კიევში
საქეშიყოში სვიატოსლავისა.
იქვე არიან ვენეტიკელნი
და გერმანელნი. იქვე არიან
მოსკოველებიც და ბერძნებიცა,
ქებას ასხამენ და უმღერიან
დიად სახელსა სვიატოსლავისას.
ხოლო ჰკიცხავენ მთავარს იგორსა,
რადგან დოვლათი ჩასძირა ფსკერზე
ყივჩაღთა წყალში, კაიალაში,
და რუსთა ოქროც შიგნით ჩაყარა.
კაიალასთან მთავარი იგორ

ოქროთ მოჭედილ უნაგირიდან
გადაჯდა მონის უნაგირზედა.
ურვა მოედვა ქალაქთა კედლებს
და ყველგან ჩაკვდა მხიარულება.

სვიატოსლავმა-კი ნახა სიზმარი
კიევის მთაზე შფოთის მომგვრელი.
ამბობდა იგი: „მწუხრიდან წუხელ
მე მახვევდენო შავ სუდარაში,
გადამაწვინეს ურთხელის სკამზე
მოლურჯო ღვინოს ნაღველში ნარევს
სცლიდნენ და ბილწი ურჯულოების
გამოფიტული კაპარჭებიდან
მკერდზე მაყრიდნენ ჭიოტ მარგალიტს
და მე ალერსით მაამებდნენო.
შენს შანიშინში ოქროს გუმბათზე
ფიცრებს კადონი გამოცლოდაო.
ლეგა ყორნებიც პლესნევსკთან ველზე
მწუხრიდან მთელი ღამე ჩხაოდნენ,
და კისანიის ულრანში მყოფნი
შორეთს მიფრენდნენ ცისფერ ზღვისკენო.

და უთხრეს მთავარს ბოიარებმა:
შეპყრობილია გული ვარამით
აი, მთავარო, მამისეული
ოქროს ტახტიდან გადმოფრენილა
უეცრად ორი შევარდენი, რომ
სწვევოდნენ ქალაქ თმუთარაყანსა
ან მუზარადით შეესვათ დონი.
შევარდნებს უკვე ფრთები შეაჭრეს
ბილწი ხმლებით და თვითონ ისინი
რკინით დაჭედილ ხუნდით დაბორკეს.
დადგა სიბნელე მესამე დღესა.
ჩაქრა ორი მზე, ორი ყირმიზი
ბოძი ჩაქრა და ორი ყრმა მთვარე;
ყრმა ოლეგი და ყრმა სვიატოსლავი
მრუმემ ჩაყლაპა, ზღვამან ჩასძირა
და უდიდესი თავხედი ქცევა

შესძინა ხანსა მათმა დაღუპვამ.
შემდეგ მდინარე კაიალაზე
დიდ ყიამეთმა სინათლე ჩანთქა.
რუსულ მიწაზე დათარეშობენ
ყივჩაღები და ახლა ქვეყანა
თითქო აფთრების საბუდარია.
უკვე სირცხვილმა დასცა ხახელი
ლაღობა მოსპო ვერაგობამ და
ჩამოიმეხა აჯალი ქვეყნად.
აი გუთების ტურფა ქალები
ცისფერ ზღვის პირზე ამღერებულან
და რუსულ ოქროს აჟღარუნებენ.
ქებას ასხამენ ბუსოვის დროსა
და შურისგებას შარაღანისას.

ხოლო, ჩვენ, შენი მოლაშქრეები,
განვრიდებივართ მხიარულებას.
მაშინ დიადმა მხნე სვიატოსლავმა
გადმოაფრქვია ოქროს სიტყვები
ცრემლში ნარევი და იღაღადა:
ოჰ, ჩემო ძენო, იგორ, ვსევოლოდ!
თქვენ ნაადრევად წამოგიწყიათ
ყივჩაღთა მიწის მახვილით რბევა
ქვეყნად სახელის მოსახვეჭავად.
თქვენ უნაქებოდ დასძლიეთ მტერი
და ააჩქეფეთ ბილწების სისხლი.
თუმცა მედგარი თქვენი გულები,
ჯავარდენივით გამომახულა
და გარანდულა ვაჟკაცობაში.
მაგრამ შევერცხლილ ჩემსა ჭაღარას
რა დაატეხეთ. არ დაელოდეთ
მდიდარს, ღონიერს, დიდლაშქროვანსა
თქვენ ჩემსა ძმასა მძლე იარღსლავსა.
ჩერნიგოველი მეომრებითა,
მოგუტებითა, ტოპჩაკებითა,
შელბირებითა, თათრანებითა,
რეგუტებით და ოლბირებითა
გარს შემორტყმულსა და უძლეველსა:

ისინი ფართა დაუხმარებლად,
ჩექმის დანებით და მძლე ყიჟინით
ანადგურებენ მრავალ ლაშქარსა
და აჟღერებენ წინაპართ სახელს.
მაგრამ თქვენ გითქვამთ: ჩვენ მარტო უნდა
ვივაჟკაცოთო, მომავალ სახელს
მივისაკუთრებთ, ძველი დიდებაც
მარტო ჩვენ უნდა გვეწილადოსო.
განა, მოყმენო, საკვირველია,
რომ უხუცესი გაგვიჭაბუკდეს.
როს შევარდენი შეჭარმაგდება
მაღლა ფრინველებს მაინც დაარბევს
და თავის ბუდეს არ დაამცირებს!
მაგრამ ის არის დღეს სამწუხარო,
რომე დროება სულ გადაბრუნდა,
და მე მთავრები არ გამყვებიან.
აი რიმოვიც ყივჩაღთა ხმლების
ქვეშე ხროტინებს და ვლადიმერიც
ხომ ჭრილობებით დაბორკილია.
ჭირი, ვარამი გლების ძეს იპყრობს!
დიდო მთავარო, შენ ვსევოლოდო!
ნუთუ არ ფიქრობ, რომე შორიდან
გადმოიქროლო კვლავ მამაცურად
და ღირსებანი მახვშისეული
ოქროს ტახტისა წამოაყენო.
შენ შეგიძლია, რომე ნიჩბებით
მდინარე ვოლგა ააშხეფინო.
და გადაღვარო ჩაფხუტით დონი!
რომე აქ იყო, გაეფდებოდა,
ელირებოდა მონა ნოგატად,
თითო მხევალი თითო რეზანად.
შენ ძალგიძს ცოცხალ სამალებითა —
გლების გულადი ძეთა წყალობით,
ხმელეთსა ზედა ისრები სტყორცნო!
შეუდრეკელო, შენც რიურიკო,
და, შენაც, დავით! თქვენ ხომ ატარებთ
სისხლში გაბანილ ოქროს ჩაფხუტებს?..
თქვენი გულადი სპა ხომ ყიჟინებს,

როგორც ვარვარა ხმლებით დაჭრილი
ხარების ჯოგი უდაბურ ველზე?
აღიმართენით, თქვენ, ხელმწიფენო,
ოქროდ მოჭედილ უნაგირებზე,
ჩვენი დროების დამცირებისთვის
რუსული მიწის აღდგინებისთვის
მთავარ იგორის ჭრილობებისთვის
სვიატოსლავის მრისხანე ძისთვის!
შენ, იაროსლავო, გალიციელო,
სახელდებულო ოსლომისლათა,
გალიციელო, მაღლა დამდგარხარ,
მაღლად დამჯდარხარ ოქროს ტახტზედა;
უგორის მთებზე მიგიბჯენია
რკინისებური შენი ლაშქარი.
გადაგიჭრია გზები მეფისთვის,
შენ დაგიხურავს დუნაის კარი
ღრუბელთა შორის ლახტების სროლით
და მართლმსაჯულებ დუნაიმდისინ.
შენ მჭექარებ და მიწებს აჟრჟოლებ,
აღებ კიევის კარებს თამამად,
მამისეული ოქროს ტახტიდან
მიწების გალმა ხონთქარებს ესვრი.
ესროლე კიდევ, შენ, მბრძანებელო,
ესროლე, ყონჩაღს ბილწსა მონასა,
რუსული მიწის დამცირებისთვის
მთავარ იგორის ჭრილობებისთვის, —
სვიატოსლავის მრისხანე ძისთვის!
შენ, ფიცხო რომან, და შენც მსტისლავო!
მამაცი ფიქრი ხომ მიაჰქროლებს
გონებას თქვენსას გმირობისაკენ.
მაღლა ფრენთ ბრძოლით გამომახულნი
ვით შევარდენი ქარში გაშლილი
როდესაც იგი, ცდილობს ფიცხელი
დაიმორჩილოს ფრინველი მაღლა!
ლათინურ ზუჩთა ქვეშე გამკობენ
ორივეს რკინის გულამდარები,
ამიტომ შედრკა ძირს დედამიწა
და ბევრი მხარე: ხინოვი, ლიტვა

იატვიაგები, დერემელები.
და ყივჩაღებმაც თვისი შუბები
გადაყარეს და ქედი მოდრიკეს
თქვენი ჯავარდნულ მახვილის ქვეშე.
მაგრამ, მთავარო, დამრუმებულა
აწ იგორისთვის სინათლე მზისა,
ფოთოლიც ხიდან ჩამოცვენილი
ვიცი სიკეთეს არ მოასწავებს;
მტერმა ქალაქნი დაინაწილა
როსის მხარეს და სულას ნაპირზე.
აწ არასოდეს უმამაცესი
სპა იგორისა აღარ აღსდგების!

დონი გეძახის, მთავარო, შენა
და გიხმობთ მთავრებს საასპარეზოდ.
ოლეგის ძენი, მთავარნი მხნენი,
მომზადებულან მტერთან სალაშქროდ.
მოგმართათ, ინგვარ და ვსევოლოდო
და თქვენ სამივე ძევ მსტისლავისა
უბადრუკ ბუდეს არ აღუზრდიხართ,
მოდგმავ ძლიერო და ექვს ფრთიანო!..
ძლევამოსილი ომის შედეგად
თქვენ ხომ ირგუნეთ წილად მხარენი?
რად გინდათ ახლა ოქროს ჩაფხუტი?
ან ლიახური შუბი და ფარი?
აღმართეთ ველზე ბჭენი ძლიერნი
თქვენი ვარვარა მკვეთრი ისრებით,
აღმართეთ ზღუდე, რუსულ მიწისთვის,
მთავარ იგორის ჭრილობებისთვის
და სვიატოსლავის უტეხი ძისთვის!

აწ უკვე ქალაქ პერესლავლისკენ
სულაც არ მოჰქუხს ვერცხლის ჩქერებით,
დვინაც ჭანჭრობით მიმდინარეობს,
ბილწთა ღრიალით დაყრუებული,
ისევ მრისხანე პოლოცკელებთან.

მათ შორის, მხოლოდ ვასილის ძემან,
იზიასლავმან ააჟღარუნა

თვისი მკვეხარე მახვილი ძლიერ
ლიტოველების მუზარადებზე,
და მან დაჩრდილა ომში თავისი,
პაპა ვსესლავის დიდი სახელი.
მაგრამ მეწამულ ფარით დაცული
მალე დაეცა სისხლიან ბალახს
ლიტოველების ხმლით განგმირული.
სარეცელზედა, ის ჩაეჭიდა
განვლილ დიდებას და იღაღადა:
„შენს სპას, მთავარო, გადაეფარნენ
მფრინველთა ფრთანი, სოლო მხეცებნა
მოლაშქრეების სისხლი ათქვიფეს!“
არ დასწრებია ძმა ბრიაჩესლავი
და არც მეორე ვსესლავი სჩანდა,
მან მარგალიტი სული მარტოკა
გადმოისროლა მედგარი ტანით
და ამოაგდო ოქროს შიბიდან.
ჩადგა ხმაური, ჩაჰქრა სიამე
და გოროდენში ბუკები დაჰკრეს.

შენ, იაროსლავო, და თქვენ მოთანო
ვსესლავისანო, დახარეთ დაბლა
თქვენი დროშები, ჩააგეთ მალე
პირდაჭდობილნი თქვენი მახვილნი.
ვერ შეირჩინეთ, ველარ ატარეთ
მამაპაპათა დიდი სახელი;
თქვენ ხომ თქვენივე შფოთიანობით
ბილწების ლაშქარს მოაგრაგნინეთ
რუსული მიწა, ვსესლავის მხარე
თქვენს შფოთვის გამო ხომ მოგვესიენ
მოძალადენი ყივჩაღთა მიწით.

მეშვიდე ჟამზე ტროიანისა
ვსესლავმა წილი უყარა თვითონ,
მისთვის სანატრელ ტურფა არსებას;
მან ვერაგულად იგდო მერანი.
მიათქარუნა ქალაქ კიევთან.
იგი შეეხო შუბის ტარითა,

კიევის ოქროთმოჭედილ ტახტსა
და უმალ მოწყდა მძვინვარ მხეცივით.
ღამე ბელგრადთან ნისლში შესცურდა,
დილით ჩუგლუგი დაურაჯგუნა
და ნოვგოროდის ბჭენი შელეწა,
დასცა სახელიც იაროსლავისა,
შემდეგ გავარდა იგი მგელივით
ნემიგისა და დუდუდკოს შორის.
ნემიგსა შინა კაცის თავებით
ძმებსა კრავენ და შემდეგ ცეხვავენ
ჯევარდნით ნაჭედ ბორკილებითა.
კაცის სიცოცხლეს კალოზე სდებენ,
აღმომხდარ სულსაც ანიავებენ,
და სისხლიანი ნემაგის მიწა
არა სიკეთით მოფრქვეულია,
არამედ იგი მოთესილია
რუსი ვაჟების მაგარი ძვლებით!

მთავარი ვსესლავ ხალხს მსაჯულებდა,
მთავრებს ქალაქებს უწესრიგებდა,
და თვით დაძრწოდა ღამე მგელივით,
კიევით მსვლელი მივარდებოდა
მამლის ყივილზე თმუთარაყანთან.
და დიად ხორსის მზის პირველ სხივსა
გზას გადუჭრიდა, წინ გადურბენდა.
პოლოცკის წმინდა სოფიის ზარით,
ერთხელ სისხამზე მას დაურეკეს
ის მაშინ უკვე კიევში იყო
და ზარის რეკვაც იქ გაიგონა.
თუმცა ჯადოქარს სულს ატარებდა
მამაც სხეულში, მაგრამ ის ბედით
უფრორე ხშირად იტანჯებოდა.
მას ბოიანმა, მისანმა წინათ
გალობით სიბრძნე შეატყობინა:
„ვერც მამაცი და ვერც გამჭრიახი
და ვერც ფრინველი შეუპოვარი
ვერ ასცდებაო უფლის განაჩენს!“.
უნდა იკვნესოს რუსულმა მიწამ,

როს მოიგონებს ადრინდელ დროსა
და ადრინდელსა მამაც მთავრებსა,
ხომ ვერ მოჭედდენ სამარადისოდ
მხცოვან ვლადიმერს კიევის მთაზე.
მისი დროშები ახლა უპყრიათ
ზოგი დავითს და ზოგი რიურიკს;
მაგრამ თუღები ცალცალკე ჰქრიან
და შუბნი ჟღერენ დუნაის ზედან!
შეხმობით გლოვა ისმის სისხამზე
იაროსლავის ასულის თქმულივ;
ობოლ გუგულსა დამგვანებია,
დილა ადრიან გადმოგვღუღუნებს.
გავფრინდებიო, ამბობს გუგულად
დუნაის ზედა; კაიალაშიც
თახვის სახელოს დავისველებო
და დაუამებ მთავარს ჭრილობას,
სისხლით მორწყულსო მედგარ ტანზედა.
იაროსლავის ასული დილით
გოდებს პუტივლის გალავანზედა,
შეხმობით ტირის: ო, ქარო, ქარო.
მოფარფატეო! რატომ, ბატონო,
ასე ბოროტად რატომ მოჰქრიხარ?
შენი მსუბუქი ფრთების შრიალით
რად მოაქროლებ ხანის ისრებსა
ჩემი ტრფიალის მეომრებზედა?
ნუთუ არ კმარა, მაღლა კამარა,
ღრუბელთა შორის რომ გეფარფატა
და დაგერწია ცისფერ ზღვაზედა
შენ ხომალდები? რად გსურს, ბატონო,
რატომ ისურვე, რომ მე სიამე
ბუძგა ბალახზე გამინიავე?
იაროსლავის ასული დილით
ქალაქ პუტივლის გალავანზედა
შეხმობით ტირის :ო, დნეპრო, დნეპრო!
ძეო დიდების, შენ გაარღვიე
კლდოვანი მთები ყივჩაღთა მიწის
შენ მიარწევდი, შენი ტალღებით,
სვიატოსლავის სანდლებს მრისხანეს

ბილწ ყობიაყოს ურდომდისინა.
ახლა მისმინე, გამოარწიე,
ჩემთან, ბატონო, ჩემი ტრფიალი;
რომ არ დამჭირდეს ცრემლის გაგზავნა.
ცისფერ ზღვაზედა სისხამ დილითო,
იაროსლავის ასული ტირის
დილით პუტივლის გალავანზედა.
შეხმობით გოდებს: მზეო ბარჩხალა,
მზეო ნათელო, ყველას ამკობო,
ყველას ათბობო, რატომ, ბატონო,
რატომ განფინე მწველი სხივები,
ჩემი ტრფიალის მოლაშქრეებზე?
უწყლო მინდორზე იმათ წყურვილით
მოკუნჩხვიათო ხელში შვილდები
და დახურვიათ მათ კაპარჭები
პაპანაქებით მოთენთილებსო.

გაიშხაპუნა ზღვამ შუალამეში
და ქარიშხალიც მრუმეთი მოდის.
მთავარს იგორსა ღმერთი გზას უკვლევს
ყივჩაღთ მიწიდან, რუსულ მიწისკენ
შამისეული ოქროს ტახტისკენ.
ჩაქვრა დაისში ცის დაფიონი
იგორი რულავს, არ რულავს იგორს,
იგორი ზომავს გონებით მანძილს
დიად დონიდან დონეცამდისინ.
მდინარის გალმა ჟამს შუალამისას
სტვენით მოუხმო ოვლურმა მერანს
და უნდა მიხვდეს ნიშანს მთავარი.
მთავარი იგორ უკვე არ არის!
დასჭყივლებს. მიწა აგუგუნდება,
აშრიალდება ირგვლივ ბალახი,
ყივჩაღთ კარავნი შეირხევიან.
ხოლო იგორმა გადაიქროლა
ყარყუმის გვარად ლაქაშთა შორის,
თეთრ წყარსინჯივით წყალი გააპო,
სწრაფად მოახტა ჩაუქ მერანსა,
შემდეგ გადმოხტა თეთრი მგელივით.

დონეცის მდელოს მეერნობითა
გაჰყვა, გაფრინდა შევარდენივით,
ნისლების ქვეშე ხოცავდა იგი
გედებს და ბატებს სასაუზმოთა
სავახშმოთა და სასადილოთა.
როცა იგორი მიშევარდნობდა,
მაშინ მირბოდა ოვლურ მგელივით
და იბერტყავდა ცინცხალ ცვარებსა.

ორივემ მალე გაასავათეს
ფიცხი მერნები მონავარდენი.
და რქვა დონეცმა: „მთავარო იგორ,
ხოტბა გერგების არა მცირედი,
ხოლო ყონჩაღსა ნაღვლიანობა
და სიხარული რუსულ მიწასა!“
იგორმაც უთხრა: ოი, დონეცო,
შენც ქება გერგოს არა მცირედი,
რომე არწევდი მთავარს ტალღებზე,
ქვეშე უფენდი მწვანე ბალახსა
გაშლილ მოვერცხლილ ნაპირებზედა.
თბილ ნისლოვანში, რომე ასვევდი,
ზე ახურავდი მწვანე ხის ჩეროს,
წყარსინჯით წყალზე მას სდარაჯობდი,
ნაკადებზედან თოლიის გუნდით
და შროშანებით ქარში შველოდი.
შენ არა ggავსო მდინარე სტუნგა,
ასე ამბობენ, იყო მშფოთარე
ნაკადული და შემდეგ შესრუტა
ნიაღვარნი და უცხოთ წყარონი,
და ახლა ამსხვრევს ჩიორგვებთან გემებს.
ასე ჭაბუკსა მთავარ როსტისლავს,
მან გადუკეტა ფონი დნეპრისკენ.
მდინარე დნეპრის მრუმე ნაპირზე,
ქვითინებს დედა როსტისლავისა,
ჭაბუკ მთავარზე როსტისლავზედა.
თვით ყვავილებმაც საცოდაობით
თავი ჩაქინდრეს და ხეც ვარამით
გადმოიხარა, მიწას დაემხო.

არა, კაჭკაჭნი არ კაკანებდნენ:
იგორს მოსდევდენ გზაკ და ყონჩაღი:
მაშინ ყორნები აღარ ჩხაოდნეხ,
ჭილყვავის გუნდმაც ხმა ჩაიწყვიტა,
არა, კაჭკაჭნი არ კაკანებდნენ,
მხოლოდ ტოტებზე ხტოდენ ისინი
და კოდალები ხეზე კაკუნით
მდინარისაკენ გზას ანიშნებდნენ
და ბულბულები ტკბილი გალობით
რიჟრაჟის მოსვლას ატყობინებდნენ.

ეტყოდა გზაში გზაკი ყონჩაღსა:
„როს შევარდენი ბუდეში მიჰქრის
უნდა განვგმიროთ შევარდნის ბარტყი,
ჩვენი მოოქვრილ ფრთიან ისრებით“.
ხოლო ყონჩაღი ეტყოდა გზაკსა:
„როს შევარდენი ბუდეში მიჰქრის
ბარტყი შევბორკოთ ქალწულის ეშხით“.
და კვლავ ეტყოდა გზაკი ყონჩაღსა:
„თუ დავიპყარით ქალწულის ეშხით,
აღარ შეგვრჩება შევარდნის ბარტყი
აღარც ქალწული ეშხით აღსავსე
და ფრინველები ჩვენ დაგვარბევენ
გაშლილ ყივჩაღთა მინდორთა ზედან!“.

თვით ბოიანმაც, გადასულ დროთა
გალობის მთქმელმა, მთავართ მეხოტბემ,
იაროსლავისამ და ოლეგისამ,
სთქვა სვიატოსლავის დროების მიმართ:
„შენ გიჭირს დგომა, თავო, უმხრებოდ,
ცოდო ხარ, ტანო, მდგარო უთავოდ,
და რუსთა მიწავ, უიგოროთო“.
ლაჟვარდსა ზედა მზე ბარჩხალებს და
მთავარი იგორ—რუსულ მიწაზე!
დუნაის პირზე ქალნი მწყაზარნი
მღერიან, მათი ხმები კიაფებს,
ზღვას გადასული კიევამდისინ.
მიემგზავრება იგორ ბორიჩევს,

ღვთიშობლის ხატთან პიროგოშჩისა;
კმაყოფილია მხარეები და
ქალაქებია გახარებული.
ძველად უმღერეს მხცოვან მთავრებსა,
ჭაბუკ მთავარსაც უნდა ვუმღეროთ:
დიდება იგორს სვიატოსლავის ძეს,
მრისხანე ხარსა, უტეხ ვსევოლოდს
და ვლადიმერსა იგორის ძესა!
დღეგრძელი იყოს სპა და მთავრები,
ბრძოლის გამწევი ქრისტიანთათვის,
ბილწთა ლაშქართა დასათრგუნველად.
დიდება მთავრებს, დიდება ლაშქარს!
ამინ!!

მთარგმნელი **სიმონ ჩიქოვანი.**

ჯაბგული

სუფრული

სამნი ვართ. ერთ რუსს და ორ ყაზახს ტრამალელს
გვაქვს სუფრა წინ სალხინარად.
დგას ჩაი სურნელი,
მუსიკა ნარნარებს
ელვარე სარკმელში წყნარად.
თუმც ძარღვში სხვადასხვა სისხლი სჩქეფს ფარული,
მზადა ვართ ერთმანეთს გზნებით
შოვეჭდოთ,
აქ ცხოვრობს დიდი სიყვარული,
ვსაუბრობთ ისე, ვით ძმები.
გვეწვიონ — ყალმუხებს, უზბეკებს, ქართველებს,
დავხვდებით გულუთბილესი.
ძმურ ენას მოვნახავთ,
ღამეს გავათენებთ
სიმღერით, ლხინით და ლექსით.
გესმის? ჰქუხს მოსკოვი სარკმლებთან განგაშით,
ხედავ? ლურჯ სივრცეებს ანთებს —
ზღაპრულ და ოქროსფერ ვარსკვლავთა კაშკაშით,
ეს კრემლი ამოდის ცამდე.
ვარსკვლავთ ქვეშ, იქ ცხოვრობს მზიური სტალინი,
ვინც შეჰქმნა დიადი ხანა;
შარად გაზაფხულით უჭკნობი ყვავილი
ლენინისა ვინც მოგვიტანა.

ხალხები, მხარენი, ყაზახთა აული,
ვინც მოსკოვს დაუძმობილა
ოთხმოცდა ათი წლის ჭალარა ჯამბული,
მას ქებას ვუმღერი ტკბილად.
შევხარი მოსკოველ სტუმარს და
ფრთხიალით
სიმს დავჰკარ მოხუცი ხელი.
ისმინე არწივის ხმა,
ვერცხლის წკრიალი,
ისმინე სიმღერა წრფელი,
ვარ სხივზე უმძაფრეს სიტყვების მსურველი,
სულს ჩასწვდეს ალერსი თბილად.
შეხედე: კვამლივით დგას ჩაის სურნელი,
ასწი და
მიირთვი ტკბილად.

მთარგმნელი **დ ა ვ ი თ გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე.**

ია ჩხაიძე

ბლახუნა

I.

იგი მახინჯი დაიბადა. მარჯვენა ფეხი შედარებით მარცხენასთან მოკლე ჰქონდა, ოდნავ განზე მოქცეული. ისე დადიოდა, თითქო ცეკვავსო. თვალებიც არ ჰქონდა საღი. განსაკუთრებით მარჯვენა ხარის თვალივით იყო ამობურთული. განიერი მხარბეჭი და კუნთოვანი გულმკერდი ვაჟკაცსაც კი დაეხარბებოდა.

უღარიბესი ოჯახიდან იყო. ბავშვობისას ყურადღებას მაინცდამაინც არავინ აქცევდა. სახელიც შესაფერი გამოუნახეს — „ბლახუნა," რაც ბოლომდე შერჩა.

მახინჯი იყო ბლახუნა, სულელი კი არა. იყო გამბედავი, პირდაპირი, მოურიდებელი ლაპარაკი იცოდა. ხმა ბოხი ჰქონდა, მეხსიერება მახვილი. როცა მოიზარდა, გარკვეული შეხედულება შეიმუშავა ცხოვრების მიმართ, ეშინოდა ღმერთის, ადიდებდა სიმართლეს. თავიც მოქონდა ამით:

— ბლახუნა ვარ, ბლახუნა ვარ, ასე გამაჩინა ღმერთმა! ბლახუნა ვარ, მარა სიმართლე მიყვარს!

მიუხედავად ამისა ცნობილი იყო, როგორც ქურდი.

— ბლახუნა ბლახა, ბლახუნა ქურდი!.. — მორთავდნენ ყვირილს მისი ტოლები. ბლახუნა გახელდებოდა, პირიდან დორბლს გადმოჰყრიდა, გამოუდგებოდა ბიჭებს და, ვაი იმას, ვისაც მისი ბამბუკის ყავარჯენი მოხვდებოდა. მაგრამ იყო კაცი, რომელიც ბლახუნას ქურდსაც ეძახოდა, სულელსაც, უკანასკნელი ვერაფერს უბედავდა. ეს იყო მღვდელი ათანასე. როგორც შეხვდებოდა მახინჯ ბიჭს, ღაღადისით დაუწყებდა დარიგებას:

— ღვთის საგმობ საქმეს სჩადიხარ, შვილო... ქურდობა: ქურდობა ღვთის გმობაა — დიდება მის სახელს! — გველისაგან დაგეს-

ლილივით გაშეშდებოდა ამის გამგონე გლახუნა. დაეყრდნობოდა ყავარჯენს. დაიწყებდა ფიქრს. მაინც ვერ არკვევდა, რისთვის იყო ქურდი: „მეზობლის ეზოში ქარისაგან ჩამოგდებულ ვაშლს რომ ევიღებ, ქურდობაა აგი, ქურდობაა?! — შეეკითხებოდა თავის თავს გლახუნა, მერე ბოროტად გახედავდა გზას, რომელზედაც მღვდელი გაივლიდა და მუშტების ქნევით მიაძახებდა:

— ჰაი, ჰაი, მღვდელი არ იყო, ერთს ისეთ მიგბეგვავდი, რომ...

გლახუნას სამადლოდ ინახავდნენ მეზობლები. მისი ცხოვრებით კი არავინ იყო დაინტერესებული, არავინ უშლიდა სიცოცხლეს... არსებობას...

დამყარდა მენშევიკების უდღეური ხელისუფლება. აირია სოფლები. გლახუნას სიცოცხლეც ბეწვზე დაეკიდა... სოფელ სურნალეთში ქურდობა გახშირდა. ერთ ღარიბ გლეხს ბეღელი გაუტეხეს, ვიღაცას კიდევ ნალია გაუქურდეს, — უღლის ხარი დაუკლეს. ღელავდა ხალხი.

— ნუთუ ასეთ ქურდობას გლახუნა ბედავს?! — ეკითხებოდნენ გაოცებული მეზობლები ერთმანეთს.

— გაბედავს. იზამს, ღვთის გლახაა, შვილებო... ავი სულია, — თვალების ცისკენ აპყრობით შეღაღადებდა ხალხს ათანასე მღვდელი.

— იზამს... უარესსაც გაბედავს! — ცოფიანივით ჰყეფდა ერობის თავმჯდომარე ბონდო დონდუა. ამის შემდეგ დღეში ორჯერ მაინც გამოიბარებდნენ გლახუნას თემში, დატუქსავდნენ... ცემდნენ, გაუძაღლდა ცხოვრება. ერთხელ უმართებულო ცილისწამებით გაწამებულმა ერობის თავმჯდომარეს ყავარჯენი მოუქნია. ასცდა, ფანჯრებს მოხვდა, მინები ჩალეწა. დააპატიმრეს, ბნელ სარდაფში ჩასვეს. ათი დღე და ღამე დაჰყო იქ, როცა გაანთავისუფლეს, ხმა არავისთვის გაუცია, მივიდა შინ, მონახა თოკი, ჭერში ჩამოაბა. უნდოდა თავი ჩამოეხრჩო. დედამ გაუგო, ცოცხალმკვდარი ჩამოიღო ძირს. მაშინ ალაპარაკდა გლახუნა:

— ნენა, რას მერჩიან, რას? — ცრემლების ყლაპვით ბუტბუტებდა იგი. — ქურდი ხარო, რომ არ ვარ ქურდი?.. სად შემიძლია ხარის დაკვლა, ბეღლის გატეხა? ღმერთი არისო, ოჯო, ბაბაიე რომ ჩიოდა, მითხარი, სადაა ღმერთი?.. თუ ღმერთი კია, რეიზა მაწვალებს?.. რეიზა არა მკლავს ნენა, რეიზა? ამფერ სიცოცხლეს სიკვდილი არ ჯობია? — მწარედ აქვითინდა თვრამეტი წლის ბიჭი დედის კალთაში.

ბნელი ღამე იყო. გლახუნა თავისებური კოჭლობით და ცეკვით ეკლესიის გალავანს მიუახლოვდა. სიძიდან ბრუნდებოდა. ჭიშკართან უეცარმა ხმაურობამ მიიპყრო მისი ყურადღება. გაჩერდა. ღამის სიბნელეში ეკლესია უფრო დიდი მოსჩანდა. გლახუნა შიშმა შეიპყრო. პირჯვარი გადაიწერა. ეკლესიის შენობიდან ისეთი ყრუ ხმაური მოისმოდა, თითქოს საფლავებიდან მკვდრები დგებიან, ეკლესიაში იმალებიანო. ის იყო — გასაქცევად მოემზადა, რომ თვალი მოჰკრა კაცს. ეკლესიის მხრიდან მისკენ აჩრდილივით მოდიოდა. თვალები დაუბნელდა. ეს კაცი გაცოცხლებულ მკვდრად მიიღო და აცახცახებული ბიჭი ჭადრის ტანს გაეკრა. საშინელ რაღაცას მოელოდა, მაგრამ მის მახლობლად მკვდრის ნაცვლად ათანასე მღვდელმა ჩაიარა. მკლავზე ბრჭყვიალა ნივთები ეწყო... ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა ვიღაც მეორე. გლახუნამ ისიც იცნო — ერობის თავმჯდომარე ბონდო დონდუა. იმასაც ბრჭყვიალა ნივთები მოქონდა. გლახუნა პირდაღებული დარჩა, ვერ გაეგო ამ ბნელ ღამეში — რა გამოჰქონდათ ეკლესიიდან, ან რა იყო, ასე რომ ანათებდა. გონებაარეული და შეშფოთებული წავიდა შინ. მეორე დღეს კი ხმა გავრცელდა: „წუხელ ეკლესია გაუქურდავთო“ დაიძრა ხალხი. რეკდნენ ზარებს: „ღვთის მშობლის ხატს თვალები დააძრესო“ — გაიძახოდნენ. ათანასე მღვდელი ხალხში იდგა და ცრემლმორეული ღაღადისით ამბობდა:

— შეიცვალა დრო, დეიქცა ქვეყანა, ხალხო! ურწმუნონი მომრავლდნენ, საცოდავ ქვეყანაზე და ღმერთსაც აღარ ინდობენ, დიდება მის სახელს, ღვთის მშობელს თვალებს თხრიან... მაგრამ დიდია ღვთის ძალა, გამოჩნდებიან ურწმუნონი, სულითა და ხორცით მახინჯნი და ავის მქმნელნი!..

ერობის თავმჯდომარე ბონდო დონდუა იჯდა იორღა ცხენზე. დაჰქროდა სოფლად. სჩხრეკდა სახლებს და... აღმოჩნდა ჭურდიც: გლახუნას ეზოში, სახლის გვერდით, მღვდლის ანაფორა იპოვეს დამალული.

გლახუნა დააპატიმრეს.

2.

ათი წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ. გლახუნა მთელ სოფელს დაავიწყდა, მხოლოდ მოხუცი დედა თუ მოიგონებდა ხანდახან.

1930 წელს, როცა მთლიანი კოლექტივიზაცია ტარდებოდა, სოფელ სურნალეთს ერთი კაცი ესტუმრა. ტანზე კარგად ეცვა, ნელა მოდიოდა. ხეიბრობას ნაკლებად იმჩნევდა.

ნაცნობ გლეხს შეხვდა, გააჩერა. გაუცინა და ომახიანი ხმით ჰიაძახა:

— გამარჯობა, სიმონ... ვერ მიცანი?

გლეხი გაოცებით დააცქერდა საკვირველ ადამიანს და კიდევ უფრო მეტი გაკვირვებით შეჰყვირა:.

— ბიჭო, გლახუნაი ხარ შენ? გლახუნაი ხარ?!

— ჰო, გლახუნაი ვარ, მიცანი?! — მხიარულად ჩაუცინა ახალგოსულმა მეზობელს. საუკეთესო ხარისხის პაპიროსი ამოიღო, მიაწოდა და თვალის ჩაკვრით ჰკითხა: — მკვდარი გეგონეთ, არა?!

— ბიჭო, მკვდარი რომ გვეგონე, ამას კითხვა უნდა?! შენ ისე დაგივიწყეს სოფელში, როგორც შენი დამკარგველი მენშევიკების მთავრობა. რაფერ ხარ ახლა? საცოდაო, სად იყავი ამდენხანს?!

— საცოდაოოო?! — გაიკვირვა და კიდეც იუკადრისა გლახუნამ: — ვინ არის საცოდავი, ჩემო სიმონ, მე? არ შეგჭამოს ჭირმა. საცოდავი მაშინ ვიყავი, როცა ყველაზი მეშინოდა, როცა ჩემისთანა საწყალს პატრონი არ ჰყავდა და ყველა თავში მიფაჩუნებდა, თვარა ახლა, აი დროში, ჩემისთანა კაცს რა უჭირს... ახლა ასე ვარ აი!.. — თითის ამართვით და წარბების ათამაშებით ჩაილაპარაკა გლახუნამ და განაგრძო. — უდანაშაულოდ ჩამაგდეს ციხეში... შაგრამ ერთ წელიწადში თვითონ იმ მენშევიკების საქმე წევიდა უკულმა. ჩემისთანა საწყალ ხალხს ქე ეშველა და თითონ კი სამუდამოდ დაიღუპნენ და გაქრნენ ამ ქვეყნიდან... იცი, რაფერი კაი ხალხი იჯდა მაშინ ჩემთან ციხეში! სული იყვნენ სული ადამიანებისა ბოლშევიკები, ღარიბი ხალხის შვილები. როცა გამოვიდნენ, ქვეყანას ჩაუდგნენ სათავეში... მეც მიშოვნეს საქმე. რამდენიმე ხანს მეეზოვედ ვიყავი. მერე აბრეშუმის ქარხანაში დამაყენეს დარაჯად... წერა მასწავლეს და კითხვა... ახლა სოფელში წამოვედი, მომენატრა აქაურობა... საქმეს ხომ აქაც ვიშოვი... ნენაი რაფერაა?.. ხომ არ მომკვდარა?!

— ცოცხალია საცოდავი. მხოლოდ მას ახსოვხარ... რაფერ ესიამოვნება შენი ნახვა... წავიდეთ..

ნელა გაჰყვნენ გზას...

3.

სოფელში გლახუნას თითქმის ყველაფერი შეცვლილი დაუხვდა. გვიმრალა ადგილები, სადაც იგი მარწყვებს ეძებდა და ხვლიკებს დასდევდა, ჩაის პლანტაციებით გადამწვანებულა. აგერ ჩაის ფაბ-

რიკაც მაღალი სამსართულიანი შენობებით! აგერ ელსადგური! იქ, სადაც ეკლესია იდგა, რომლის გატეხა მენშევიკებმა გლახუნას დაა-ბრალეს, სკოლა აუგიათ. მეზობლებიც გამოცვლილი ეჩვენა, ყველა ბნიარულობდა, შრომობდა...

ათანასე მღვდელიც ნახა გლახუნამ. მეორე დღეს შეხვდა გზაზე. ჰოხუცებულიყო ათანასე. შავი წვერი, ათიწლის წინ მარაოსავით რომ ეფინა მკერდზე, გათეთრებოდა. სიბინძურის გამო მჭვარტლი ედო. მოხუცებას განგებ იმჩნევდა. წელში წახრილი დადიოდა, შესაბრალისად გამოიყურებოდა.

გლახუნა კოჭლობით მიცურდა ნამღვდლართან, თვალების ჩაკვრით მიესალმა.

— ვერ მიცანი, მამაო?!

— ვერა. .ა შვი . .ლო, — ენა დაება ათანასეს.

— ვერ მიცანი? რავა გეკადრება, მამაო... მე გლახუნა ვარ.. შემომხედე...

— ییی, ხომ არა, ییی. . კლესია რო...მ გატეხე?..

— მე გავტეხე ეკლესია?! — გლახუნას ბრუციან თვალებში ცეცხლი აენთო.

— ااارا, შშ. ვილო... გა..გატ..ეხეს... გა..გა..ტეხეს... შენ ისე ჩავარდი...

გლახუნას ჩაეცინა:

— გატეხეს, თუ გატეხე, მამაო?..

— სუუ!.. — აღელდა ნამღვდლარი, დაავიწყდა მოხუცებულობა, წელში გასწორდა, ჩამოჩეჩილი წარბები მაღლა ასწია და თითის ამართვით მრავალმნიშვნელოვნად წარმოსთქვა: — ღმერთი გიწყენს შვილო, შენ ხომ ყოველთვის გწამდა ღმერთი, დიდება მის სახელს, ნურც ახლა დაივიწყებ, იგია შემწე ყოველი გლახაკის... ხორცით მახინჯი რომ ხარ, შვილო, სულზე იზრუნე.

— ღმერთი?.. — სახე დაემანჭა გლახუნას, — ღმერთი! მაშინ რეიზა არ გეშინოდა ღმერთის, უდანაშაულოდ რომ მაწვალეთ შენ და ბონდო დონდუამ? ფუი თქვენს ღმერთებს!.. არ გავჩუმდები, მარა ახლა რაიღა, ჩვარი ხარ ჩვარი, ვის გადაგიხადო სამაგიერო, ვის? შენ, ჩიტების საფრთხობელას?! ეი, კიდევ შენი ბედი, რომ ასე დაჩანაკებულს გხედავ, თვარა, მე ვიცოდი შენი... ახლა შევრიგდეთ... კიდომ შეგხვდები სადმე, მამაო, სხვაფერ საქმეზე...

— ჰო, შვილო, შევრიგდეთ...

ქალაქიდან დაბრუნებული გლახუნა საკოლმეურნეო საქმიანობაში ხალისიანად ჩაება... ჯერ კიდევ ისე უყურებდნენ, როგორც

ბუნებით ნაკლულ ადამიანს... მაგრამ გლახუნას უკეთ ჰყავდა თავი გამოცდილი, საქმეს მოითხოვდა.

პირველად ქალებთან ერთად ჩაის კრეფა დაიწყო, მაგრამ „იოლ საქმედ“ მიიჩნია. არ მოეწონა. „ვაჟკაცური საქმე მინდაო“, მოითხოვა. ორთვალა ჩააბარეს. ხალისით მოჰკიდა ხელი. ორთვალაში ვებეერთელა ცხენი ება. გლახუნა კოფოზე გამოჭიმული დილიდან საღამომდე დაარბენინებდა ორთვალას. მღეროდა, ხარის თვალს ეშმაკურად უჭუტავდა ქალებს. ჩაის ნედლი ფოთოლი კოლმეურნეობიდან ფაბრიკაში დაუგვიანებლად გადაჰქონდა. შემოდგომაზე გლახუნა მთის ყანების მეველედ დადგა. თვითონ ისურვა.

ნამღვდლარი ათანასე ძალიან ჩააფიქრა გლახუნას მეველედ დადგომამ, ახლო ცხოვრობდა მთის ყანებთან და რაღაც სარგებლობას მოელოდა. ბოლო დროს წყნარ ცხოვრებას ეწეოდა ათანასე. ეკლესია დაურღვიეს. წირვა-ლოცვას გასავალი აღარ ჰქონდა და „საქმე“ რომ შემოელია, კბილის ამოღება დაიწყო. გამონახა ძველი გაზი, ზოგს ამტკივნებულ კბილს ამოართმევდა, ზოგსაც ჩაუმტვრევდა და გასამრჯელოს ღებულობდა. კოღოსავით დაფარფატებდა მოხუცი ათანასე ცხოვრების ზედაპირზე.

წარსულის მოგონებით ცხოვრობდა, არც შვილი ჰყავდა ,არც ცოლი, მხოლოდ ერთი ძაღლი იყო მისი ცხოვრების თანამგზავრი. ცხოვრობდა „პატიოსნად“, თუმცა ზოგის ყანაში სიმინდის გამომტვრევაც უყვარდა. დაბოლოს შეშასაც ითვისებდა ჩუმად.

გლახუნას დაბრუნება არ დაურჩა სასიამოვნოდ. „რაღა ეშმაკად მაგი გადაურჩა სიკვდილსო“, დარდობდა. მეორედ შეხვედრას ერიდებოდა. ყველაფერს მოელოდა ნამღვდლარი, ამას კი არ იფიქრებდა, თუ გლახუნა კოლექტივის ყანების მცველად დადგებოდა, არ ესიამოვნა ათანასეს ეგ. კარგად რომ დაუფიქრდა, როგორღაც მოეწონა.

— მაგ კაცის გლახას ბევრჯერ ამოვეფარე, ბევრი სხვანაირი საქმე გამიკეთებია მაგის ზურგს უკან, ისე რომ არავის გაუგია. ალბათ ამ მოხუცების დროსაც ღმერთმა მომივლინა მაი სულელი... — და მოჰყვა ჩიფჩიფს გლახუნას ქურდობაზე...

ბევრ რამეს ამბობდა, მაგრამ მისი სიტყვები ახლა სასაცილოდაც აღარ ყოფნიდათ. განსაკუთრებით ახალგაზრდები დასცინოდნენ.

გლახუნამ მუშაობით, გამბედაობით და ნაირ-ნაირი სიმღერებით მათი თანაგრძნობა უკვე დაიმსახურა. ახალ საქმესაც გულმოდგინედ მოეკიდა, ერთი ძაღლი იშოვა. „ათანასაი“ დაარქვა სა-

ხელად, წალდი აიღო, კოლექტივის ყანებს მწიფობის დროს მცველად დაუდგა.

— ჩიტსაც არ ჩამოვაფრენ კოლექტივის ყანებში, ჩიტს... — გაიძახოდა გლახუნა. თავისი მონგრეული, მაგრამ მაგარი ფეხებით ხან ღობესთან მისულ ღორებს გამოუდგებოდა, გაჰკივლებდა. ხან ღობეზე მომდგარ ხარებს მჭახე ხმით დასტვენდა, თავზარს დასცემდა. ხშირად მთელი ღამით დარჩებოდა ყანაში, კაკლის ქვეშ ცეცხლს გააჩაღებდა, იქვე ნაბადს გააფენდა. მაღლიდან მწიფე კაკალი ცვივოდა, გლახუნა სწვავდა ჭყინტ სიმინდს და კაკალსა და სიმინდს გემოიანად შეექცეოდა... ღამეში ორჯერ მაინც ადგებოდა, გაიყოლებდა ძაღლს, გადადგებოდა მაღლობზე და გადასძახებდა ფერდობებს:

— ათანასე, ცი... ეცი, ათანასე, ღორებს... ეცით!.. სეისიოო!..

ნამღვდლარს ესმოდა ეგ და ძილდამფრთხალი სწყევლიდა გლახუნას.

ერთ დღეს ათანასე და გლახუნა ერთმანეთს შეხვდნენ.

— რაფერაა, შვილო, საქმე?.. რავა ხარ... კოლექტივის ყანები რას შობა?..

— ასეა აი!.. — ცერის აღმართვით მიუგო გლახუნამ და ყავარჯენი შეათამაშა. — დედა ვუტირე ქურდებს... ველარ მოძვრებიან გარეთ...

ნამღვდლარი შეკრთა... დამჭვრატლული წვერი გააცანცარა.

— ქურდები სადღაა, შვილო, ახლა... ძველი დრო ხომ არაა?

გლახუნას ყურებამდე გაეცინა. თვალი აუთამაშდა.

— არის, შამაო, არის.... ძველი დრო ქე გამეიცვალა, კაი ცხოვრებაც გვაქ, მარა იმფერი შავფეხები, ეკლესია რომ გატეხეს, გახსოვს, კიდომ ქე დაცანცალობენ...

ნამღვდლარის სახეზე შიში ალიბეჭდა, ტანში ცახცახმა გაურბინა.

— არა... ეგება ქეა ერთი ორი... მარა კოლექტივს რას დააკლებენ... დედას უტირებთ. — გადიხარხარა გლახუნამ და ნამღვდლარს ეშმაკურად გადახედა.

ცოტა ხნის შემდეგ ათანასემ ჩიფჩიფით დაიწყო...

— შვილო, ყური დამიგდე... გაგინადგურა დათვებმა ყანა... გეყურება?!

— დათვებმა ყანა გამინადგურა!..—გაოცდა გლახუნა, დაფიქრდა. მერე ნაღვდლარს მარჯვენა თვალი გადაუბრიალა და გაკვირვებით ჰკითხა:

— დათვებს რა უნდა ყანაში?.. ვერ ჩამობედავენ... ჩემ „ათანასე“ ძაღლს რომ გამოვაკიდებ..., ვიფრენ მთებისაკენ!..

— ათანასე რომელია?.. — გაიკვირვა მღვდელმა.

— ჩემ ძაღლს ქვია, მამაო.

— ხოო... — მწარედ ჩაიცინა ათანასემ. — რას ვჩიოდი?.. ხო, შენ თქვი, დათვები ვერ ჩამობედავენო... ჩამობედავენ, შვილო, და ძაანაც ქე ჩამობედავენ... შენ რა იცი, ბალანაი ხარ... ყური გამოსწიე, აი რა გითხრა... ეგერ საჭამიეს მთაი რომაა, ხომ იცი? იცი. იმას იქეთ რომ ტყეა, იგიც ხომ იცი? იცი... ახლა იგიც გეცოდინება, კოლექტივის ყანებს აქეთ რომ პატარა ყანა იყო... გინახავს... იგი მიწა მე მომცა კოლექტივმა... იგენთან მუშაობა აღარ შემიძლია და ჩემდა დავთესე... დავთესე, გავმარგლე, გადავყევი, მარა რაიღა ახლა... სულ გამიოხრა დათვმა, რავაც ახლა ჩემს თავზე ბალანი არაა, არც იქინე არაფერი აღარაა...

— რას ჩივი! — ვითომ ძალიან შეწუხდა გლახუნა.

— საშიშია წყეული... კაცსაც ერჩის, თუ კბილატკენილი შეხვდა, არ დაინდობს... — გააზვიადა ნაღვდლარმა.

— უიმე... საშიში ყოფილა!.. — შეშფოთება დაიმჩნია გლახუნამ, თუმცა სახეზე ღიმილი ისევ უთამაშებდა.

— ოჯო... არ მაქვს ძველი ღონე, თვარა მაგის ოინი კი ვიცი მე. — წარბების მაღლა აწევით დაიწყო ათანასემ.

— რაფერ?..—რა იცი მამაო! თქვი — დაინტერესდა გლახუნა.

— ა? რაფერ?. — ხაფანგი მაქ ძველისძველი, შვილო... არის მარა, რაფერია, იცი; ამ თითის ხელა კბილები აქ... იმას რომ ჯაჭვები ახლავს, ხუთი ფუთი მაინც გამოვა.... ძაანია, ძაანი... მახსოვს, მამაჩემი იმ ხაფანგით წელიწადში ოც დათვს მაინც დაიჭერდა.... ერთ ორჯერ მეც დავუგე... ერთხელ იმფერი ძუი დათვი დევიჭირე, რომ რაღა გინდა... ორი ბელი ახლდა. შენ ხელვანები კი იყვნენ მაინც.

გლახუნა ჩაფიქრდა. დიდხანს იყო ასე. მარჯვენა „ხარის თვალს“ საოცრად ატრიალებდა. ბოლოს ჩაიცინა და ათანასეს შესძახა:

— კაი, მამაო, კაი... მივხვდი რაც გინდა... მოვუწყოთ დათვებს ხაფანგი... სად ჯობია, შენთან, თუ კოლექტივის ყანაში?!

— შვილო, ჩემ ყანაში რა უნდა... იქინე არაფერი აღარაა. ჯობია შენთან, კოლექტივის ყანაში, დავუგოთ მახე, მარა, აი არ დაივიწყო... იმ ღამეს, დათვს რომ ხაფანგს დავუდგამთ, იქინე არ მეიცადო, თვარა ეშმაკია, სუნს ეიღებს და გათავდა. სიახლოეს არ გაეკარება...

— კარ, კარ. მამაო. — ისევ ჩაეცინა გლახუნას, ნამღვდლარს თვალი ჩაუკრა და ორაზროვანი სიტყვებით დაუმატა, — კოლექტივის ყანაში ჯობია, არა?! ხო. მართალია. დათვიც სიმსუყეს ეძებს... დავუდგათ...

შეთანხმდნენ. ძლივს აათრიეს დაჟანგული ხაფანგი ყანაში. დიდი გაჭირვებით მოაწყვეს იმ მხარეზე, სადაც ტყე ეკრა და მაღალი ბალახები იწყებოდა.

საღამოთი გლახუნა კოლექტივის თავმჯდომარეს ეწვია.

5.

გარიჟრაჟი რომ მოახლოვდა, ათანასე კატური ნაბიჯით გაშოცოცდა სახლიდან. წალდი აიღო, გოდორი მოიკიდა და გაჩერდა. აღარ წვიმდა. მკერდგახსნილი ღრუბლებიდან ოქროს ციალით შოკიაფობდნენ წვიმისაგან პირდაბანილი ვარსკვლავები. იდუმალება მეფობდა, მხოლოდ ხანგამოშვებით წამოუქროლებდა ზენა ქარი, წვიმისაგან დასველებულ ფოთლებს ააშრიალებდა და ისევ გამეფდებოდა სიჩუმე.

ეძინა სოფელს.

ნამღვდლარი ნელა დაიძრა ადგილიდან, ისევ გაჩერდა, გადახედა დაბლობებს, წარბები არასასიამოვნოდ აუთამაშდა, მარცხენა თვალმა დაჰკრა და გულმა რეჩხი უყო. შიშს კიდევ უფრო უღრმავებდა გლახუნას ღიმილი, რომელიც ხაფანგის დადგმის დროსაც ემჩნეოდა.

— ფეხმოთილახრებული... კაცის გლახა!.. — იგინებოდა ათანასე გაბოროტებით. უყურეთ, რა ამბავშია?!! ვაიმე, რომ კარგად ვერ წამოვაგე ანკესზე, როცა ძალა მქონდა მაშინ... ახლა ძველი ამბები რომ გამომიჩხრიკოს, ხომ დავიღუპე!! ერთი სულის შებერვა მჭირია და გავქრები... მაინც რაფერ შეიცვალა ცხოვრება... ვინ იფიქრებდა მაი გლახა ამფერი მარჯვე კაცი გამოვიდოდა. მარა, რას ვჩურჩუტობ, ღმერთმა რომ გლახა გააჩინა — დიდება მის სახელს — ყოლიფრით გლახა არის და იქნება!... რაფერ ადვილად მოვატყუე!.. დათვის შიშით ახლა ღამე კი არა, დღეც ვერ ამობედავს აქანაი... მარა, რეიზა იცინოდა ასე?..

გულზე ხელი დაირტყა, ვიღაცას დაემუქრა. ალაგზე გადავიდა და გაჩერდა. რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იდგა, მერე სწრაფად გასწია წინ, ბილიკს გაჰყვა. წიფლების ტყეში შევიდა. ქარი ისევ აშრიალებდა ტყეს. ხის ტოტებიდან ტყლაშუნით მოდიოდა ძირს წვიმის წვეთები, უცებ რომელიღაც წიფლის ტოტზე მძინარე

ფრინველმა შეიფრთხიალა. უცნაური ხმაური გამოსცა. ათანასე გაქვავდა: იგრძნო, თუ შიშის გამო როგორ დაწვრილდა, როგორ დაუბნელდა თვალები. გაჩერდა, ყური დაუგდო, ხმაური აღარ განმეორდა. წინ წავიდა.

მიდიოდა ამ ბნელ ღამეში, თითქოს ვინმეს ეპარებაო. ერთი წუთის წინ აღძრული შიში თანდათან ღრმავდებოდა და უკვირდა: „ათასი ბინძური საქმე გამიკეთებია და ასე არ შემშინებიაო“. უცებ ხის გადანაჭრებს ფეხი წამოჰკრა, წაიქცა და გაინაბა. ეგონა ეგ არის მომვარდებიანო. არავინ არ ჩანდა. ისევ ადგა.

„ფუი ეშმაკსო“, დაიძახა სამჯერ, მხრებზე გადაიფურთხა და გაცოცდა... ისე მიდიოდა, თითქოს ჰაერში მიცურავსო. ასე გაიარა ტყე, სოფლისაკენ დაუხვია და მავთულის ღობეს მიადგა, გაჩერდა, სმენა გაიმახვილა, დააყურა სიმინდის ყანას, რომელსაც ჩუმი ხმით აშრიალებდა ქარი. სადღაც ხეს ხმელი ტოტი მოტყდა, ათანასე შეხტა, მაგრამ ხმაური აღარ განმეორდა. თავისთავს უსაყვედურა:

— აბდალი ვარ, სულელი... რაის მეშინია?.. ვინ მუა ამფერ ლუსკუმა ღამეში?.. ი გლახა გაბედავს ამოსვლას?! ძაან არ მევიგონე აი დათვები და ხაფანგის დადგმა?.. ერთს მაინც გავკრავ კბილს და მეტი რა მინდა...

მილეული მთვარე ბნელ ღრუბლებიდან გამოცურდა და გარემო გაანათა. ნაღვდლარმა ისე ახედა ცას, თითქოს მთვარეს უსაყვედურებს, ასეთ დროს რათ გამოანათეო. ფრთხილად გადავიდა კბილებიან მავთულზე და აჩრდილივით შეიპარა ყანაში. რამდენიმე წუთს იდგა ჩუმად კისერწაგრძელებული. ყურთასმენას არ ეპარებოდა უბრალო ჩამიჩუმიც კი... და როცა დარწმუნდა, არ მოელოდა საფრთხე, მსხვილი ტაროების მტვრევას შეუდგა. ტრიალებდა მარდად და დათვივით დაუწყო ჩალებს ლეწა.

აღმოსავლეთი შეფერმკრთალდა ავარდისფერებული ცის ჰორიზონტზე, ასკანის ციხის ნანგრევები ბუნდოვნად მოიხაზა. მკრთოლვარე ცისკარი მორცხვად დაციმციმებდა ნისლში გახვეულ საყორნიას. დილის მოახლოვებამ შეაშფოთა ქურდი, შეჩერდა, დაიჩოქა, ძლივს მოიკიდა სავსე გოდორი, წამოდგა კიდეც და... უცებ მავთულის ღობიდან ყანაში ვიღაც ჩამოხტა. თავში რომ დაჰკრა ელდამ, ფეხებამდე დაურბინა ნაღვდლარს.

— „ავაი, ბომისწრეს“—გაიფიქრა სწრაფად, სულითქმა შეიჩერა. დააყურა. შრიალი ახლოვდებოდა. აი ვიღაცაა სიმინდებიდან გამოვიდა და მისკენ მიდის... ძაღლსაც მოჰკრა თვალი. ეს გლახუ-

ნას „ათანასე“ ძაღლად მიიღო... „მაი გლახა მაინც ვერ დამეწევაო“, გაიფიქრა, აღმოსავლეთისაკენ იბრუნა პირი, იბრუნა და გაიქცა...

მირბის ათანასე ყანაში და ტაროები მოქნეული მუშტივით ხვდება თავპირზე. მოცვივოდა გოდრიდან მონაპარავი სიმინდი. ვიღაცა კი მაინც მოსდევს, აშრიალებს სიმინდის ჩალას. ერთი წამით, ერთი წამით შეჩერდება ქურდი, მოიხედავს უკან, იკლებს ხმაური, მაგრამ გადადგამს ნაბიჯს თუ არა, ისევ აშრიალდება ჩალები.

მთელი ყანა შემოირბინა, ხაფანგში კინაღამ ჩავარდა და ბოლოს დაღლილი, ძალმილეული ისევ იმ ადგილას მივიდა, სადაც გოდორი ტაროებით გაავსო... მივიდა და ლონედაკარგული ბალახებში ჩაჯდა. მეტი აღარ შეეძლო. დანებდა მდევარს, გლახუნა „გლახას“, ფეხებმოქცეულ კაცს... სწორედ ამ დროს ხმამაღალი სიცილიც მოესმა, თითქოს ვიღაც სხვა იჯდა იქ მოშორებით და მის გაჭირვებას დასცინოდა... შეშინებული პირაღმა ჩაწვა და ყურს ბიუგდო სიცილის განმეორებას... არაფერი აღარ ისმოდა, მხოლოდ მის მახლობლად ბალახი შრიალებდა ჩუმად. წამოსწია თავი და იმ ადგილას დააცქერდა, დააცქერდა და გაოცდა, იგი მდევარი ამდენი შიში რომ განაცდევინა, მისივე ძაღლი აღმოჩნდა. ასდევნებოდა პატრონის ნაკვალევს და ახლა სველი, ტალახში ამოვლებული იდგა პატრონის წინ, აქიცინებდა ბოძგვერა კუდს, აშრიალებდა ბალახს, დაჰყურებდა ათანასეს, თითქოს უსაყვედურებს: „მე შენ საძებრად წამოვედი, გნახე, შენ კი ამდენი რათ მარბენინეო.“ მწარედ გაეცინა ნამღვდლარს.

— ოი, შე საწელკავევ!.. შენს პატრონს... შენი... არ გრცხვენია, შენ ბინძურო, ბინძური ჯიშისავ... კალამ არ დამღუპე, კაცი? კალამ არ მაჭამე სირცხვილი?.. — უკვირდა ძაღლს, მაგრამ მისი სიტყვები მოფერებას უფრო გამოხატავდა, ვიდრე მრისხანებას... გადარჩა ქურდი, მეტი რაღა უნდოდა?!! ადგა, გოდორი მოიკიდა, სირბილის დროს ტაროები სულ ამოცვენოდა და ემსუბუქა.

— ფუი ეშმაკს! ფუი ეშმაკს!.. რა ტყუილა გამიარა ამაღამდელმა ღამემ, ამდენმა შრომამ, მარა დიდება შენს სახელს, ღმერთო, ასე მშვიდობიანად რომ გადამარჩინე... არა, ახლა, რომ მართლა ვინმე შემომსწრებოდა, ქი არ გევილანძღებოდი კაცი? რას იტყოდა ქვეყანა?.. რაც ჩემს ცხოვრებაში გამიკეთებია, ყველაფერი გამომჭეურდებოდა... ჰა, კიდევ იტყვიან, არაა ღმერთიო?.. არის, არის, დიდება მის სახელს! მისითაა, სული რომ მიდგანა!..

— დილა მშვიდობისა, მამაო!.. ეკლესიაში ხომ არ ხარ, ასე რომ ლოცულობ?! — შეკითხვით დაეცა ეს ხმა ათანასეს. აიხედა.

მის წინ გლახუნა იდგა. სწორედ ის იყო. ცალ ხელში წალდი ეჭირა, ცალით ყავარჯენს ეყრდნობოდა და... ბცინოდა .

— ვერ მომატყუე, მამაო... — უდარდელი სიცილით დაიწყო გლახუნამ,—გეგონა კი მოვატყუებო, მარა, შენ მოტყუვდი. მე რომ ისე აბდალი ვყოფილიყავი, შენ რომ გახსოვარ, ამხელა საქმის მცველად ვინ დამაყენებდა?! ბაღნობიდან რომ მომძახოდი ქურდს — გლახაო და ვერ გამიბედავს რამესო, ვინ ყოფილა ქურდი, შენ თუ მე? დათვები მეიგონე, გლახას შევაშინებო. შემაშინე? მაშინვე გავიგე, რაც გეწადა... ეკლესია ხომ არ გეგონა, მამაო, გავქურდავ და შემრჩებაო?.. ხა, ხა, ხა!.. მთელი ღამე აქ ვიყავი — წუხელის. ჩამოსულიც დაგინახე და ისიც დავინახე, ყანაში რომ დარბოდი... რა გარბენინებდა?! თაგვებს ხომ არ სდევდი?! თუ შენმა ძაღლმა შეგაშინა? ეგებ იმას ფიქრობდი, ამ კბილებიან მავთულის ღობეზე გადავიპარები და დავიმალებიო... არა, მამაო, ჩვენს ყანებს მაგარი ღობე აქვს შემოვლებული. ერთი ალაგე აქვს და ვინც იქიდან შენსავით ჩამოიპარება, აი დაემართება ყველას... აბა მიყურე, ახლა მეზობლებსაც გავაცნობ შენ თავს!...

პირში ორი თითი ჩაიდო და ისე დაუსტვინა, ნაღვდლარს ცახცახი დააწყებინა.

ბუჩქებიდან კოლმეურნეები გამოვიდნენ. გლახუნამ ათანასეზე მიუთითა:

— ნახეთ.... აი დათვი!..

აღმოსავლეთის ქარი აბრეშუმის ხმით აშრიალებდა მწიფე ყანას.

კ რ ი ტ ი კ ა

დავით კოტიძე

ფერდოუსის სატირა სულთან მაჰმუდზე

აბულ ყასიმ ფერდოუსი ირანული ლიტერატურის ყველაზე დიდი წარმომადგენელია. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 934—1027 წლებში. ეს ის ეპოქაა, როცა ირანული ლიტერატურის განვითარებამ საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია; ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამანიდების ბატონობამ, რაც დაახლოებით ერთ საუკუნემდე გაგრძელდა, სამანიდების ეპოქაში იღვიძებს ინტერესი ნაციონალური შემოქმედების გაშლა-აღორძინებისაკენ.

არაბების ბატონობისაგან თავდაღწეული ირანის ფეოდალური არისტოკრატია ცდილობს თავისი ბატონობის დასაყრდენი კულტურულ შემოქმედებით სფეროშიც მონახოს და ამ მხრივ საგულისხმო შედეგებსაც აღწევს.

მიუხედავად გარეგნული ბრწყინვალებისა, სამანიდების ბატონობის ეპოქა დასერილია შევიწროვებული ღარიბი მოსახლეობის ურიცხვი აჯანყებით, რასაც შედეგად ამ დინასტიის სრული დაცემა მოჰყვა.

რაც დრო გადიოდა, უფროდაუფრო იზრდებოდა ხალხის უკმაყოფილება სამანიდების მიმართ, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სამანიდებს სრულიად ჩამოშორდა ხალხი. სამანიდებმა თავიანთი ბატონობის უკანასკნელ დღეებში ყოველგვარ საშუალებას მიმართეს, ილექის მეთაურობით შემოსეულ თურქების შესაბრძოლებლად რომ გამოეყვანათ ხალხი, მაგრამ მათ მოთხოვნას მოსახლეობა სრული სიჩუმით შეხვდა და არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია შემოსეულ თურქებს.

სამანიდების დაუძლურებასთან ერთად ძლიერდებოდა ღაზნეველთა სამეფო და თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა თურქების მიერ სამანიდების სატახტო ქალაქის ბუხარის აღება და მაჰმუდ ღაზნეველის, როგორც დამოუკიდებელი მმართველის ტახტზე ასვლა. [1])

---

1) Бартэльд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, СПБ. 1900 285. стр,

მაჰმუდ ღაზნეველი, როგორც უდიდესი დესპოტი განსაკუთრებულ როლს თამაშობს აზიის ხალხთა ისტორიაში. ძარცვა-გლეჯა, დაუსრულებელი ომები, მოსახლეობის აუტანელ მდგომარეობაში ჩაყენება, აი რა ახასიათებს მისი მეფობის დღეებს. [1]).

დიდ ინტერესს იწვევს ამ ეპოქაში მცხოვრებ უდიდესი პოეტის, ირანის ფეოდალური არისტოკრატიის ღვიძლი შვილის, ფერდოუსის მაჰმუდ ღაზნეველთან დამოკიდებულების საკითხი.

მთელი რიგი მკვლევარები ეყრდნობიან რა ფერდოუსისა და მაჰმუდ ღაზნეველის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მთელ მსოფლიოში გავრცელებულ ლეგენდას, ფიქრობენ, თითქო ფერდოუსის პოეტური შემოქმედება მაჰმუდის კარზე გაშლილიყოს და პოეტს თავისი შესანიშნავი პოემაც „შაჰ-ნამე" მაჰმუდის დაკვეთითვე დაეწეროს. [2]).

მაგრამ უახლოესი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ „შაჰ-ნამე" უკვე დასრულებული ყოფილა მაჰმუდ ღაზნეველის გამეფებამდე. [3]) და ცხადია, საკითხის კვლევას სხვა მხრივ უნდა მივუდგეთ.

ირანულ ლიტერატურაში დღემდე შემონახულა ფერდოუსის სახელით ცნობილი „სატირა სულთან მაჰმუდზე", რომლითაც შესაძლებელი ხდება რამდენიმედ მაინც წარმოდგენა ვიქონიოთ ფერდოუსისა და მაჰმუდ ღაზნეველის ურთიერთობის შესახებ. აი ეს

სატირა სულთან მაჰმუდზე [4])

ჰეი! შაჰ მაჰმუდ, მპყრობელი ხარ ქვეყნისა ოდეს,
თუ სხვისი არვის გეშინიან, ღმრთის გეშინოდეს!
შენზე ადრედაც მეფეები გვირგვინოსანნი,
ბევრნი ყოფილან და ყველანი — ტახტსხივოსანნი.

---

[1]) А. Ю. Якубовский, Махмуд Газневи, сб. Фердовси, Ленинград 1934, 91—92.

[2]) ამავე აზრს ატარებს დავლეთ შაჰიც. იხ. The tadhkiratu sh-shu a of Dawlatsha h (ed Browne) London 1901 pp 50, 51, 52, 53, 54.

[3]) „Тщательное исследование поэмы показала, что она была закончена в начале 999, когда Махмуд даже еще не был повелителем Газны" Е. Бертельс, Фирдоуси и его творчество, 18. „Но к тому времени, когда к концу подходил великий труд Фердовси, с саманидское государство рухнуло". И. Орбели, сб. Фер овси, 10.

„Первую редакцию „Шах-Намэ" Фердоуси закончил приблизительно около 994 года". К. Чайкин „Фердоуси", Восток, II 1935, стр. 78.

[4]) სატირის სხვადასხვა ვერსია სტრიქონების სხვადასხვა რაოდენობას შეიცავს. ჩვენი თარგმანი ყველაზე უფრო გავრცელებულ ვერსიიდან არის შესრულებული. ნები ნიშნავს წინასწარმეტყველს.

ერთავად შენზე უმაღლესნი იყვნენ დიდებით,
განძით, ლაშქარით, გონებით და გამოცდილებით.
სიკეთისა და სიმართლის მეტს არას იქმოდნენ,
დიდის და მცირის დახმარებას არ გაურბოდნენ.
ქვეშევრდომებზე სიუხვის და მადლისმფენელნი,
იყვნენ გულწრფელად ერთი ღმერთის მადიდებელნი.
ქვეყნად ეძებდნენ თავდადებით სახელს დიდებულს
და მის ძებნაში კვლავ აწევდნენ კეთილ დასასრულს.
ყველა ის მეფე, ვინც დინარის ტყვე შეიქმნება,
გონიერთაგან შეზიზღებულ-გმობილ იქნება.
თუ შენ ამჟამად ქვეყნის მართლაც ხარ შაჰრიარი,
იტყვი ბოროტნი, მაბეზღარნი ქვეყნად რად არის?!
შენ არ გინახავს ჩემი აზრის სიგამჭრიახე,
არც გიფიქრია ამ სისხლისმღვრელ ხმალის შესახებ,
რადგან მიწოდებ ურჯულოთა გზაზე შემდგარსა,
ხვადი ლომი ვარ და შენა კი მეძახი ცხვარსა.
მე დამცინიან: ეს ავენა გახდა ქებული,
ნების და ალის სიყვარულით მოხუცებული.
ვის გულშიც ალის სიძულვილი ნამდვილად არი,
განკითხვის დღემდე აღსავსე ვარ მათ სიყვარულით,
თუნდაც მეფემან რომ დაფლითოს ჩემი სხეული,
ამ ორ მეუფის სიყვარულის გზას არ გადავალ,
თუნდაც ჩემს თავზე გაიელვოს მეფისა ხმალმა.
უმამოს გარდა მისი მტერი არვინ იქნება,
თუნდაც რომ ცეცხლში დაწვას ღმერთმა მისი არსება.
წინასწარმეტყველის ოჯახის ვარ მონათაგანი
და ფეხის მტვერი ქვეყნის ბრძენი მმართველთაგანის.
მე მემუქრები, რომ: შენს ტანსა ფეხით სპილოსი,
გავხეხ-გავთელავ, გავალურჯებ, ვით ზღვა ნილოსის.
არ მეშინიან, რადგანაც მაქვს ნათელი გული,
ორი მეუფის სიყვარულით გაბრწყინებული.
და რასაც იტყვის იგი ღმერთი მორჩილებისა,
ღმერთი კრძალების, აკრძალვისა და ბრძანებისა —
რადგან ქალაქი ვარ სიბრძნის და ალი კარია,
ესე სიტყვები ჭეშმარიტად მისგან არიან.
მესმის ყოველი გონებით და სიბრძნით მოსილი
და ყურიც მუდამ მის ხმაზედა მაქვს მიპყრობილი.
შენ რომ გაგაჩნდეს გონება და ბრძნული ფიქრები,
წინასწარეტყვლის და ალისა გვერდით იქნები.
მე დამდე ბრალი, თუ მით ცუდი დაგემართება,
ესაა ჩემი ცხოვრების გზის მიმართულება.
ეს დამყოლია და მით წავალ მწარე ბედისა,
ასე უწყოდე, რომ მტვერი ვარ ლომის [6]) ფეხისა.

---

[6]) დედანში ნახმარია სიტყვა, ჰეიდერ, რაც ლომს ნიშნავს და იხმარება ალის ეპითეტად.

მე სხვებთან არ მაქვს ახლა საქმე არავითარი
და მათ შესახებ აქ ადგილიც სიტყვის არ არი.
თუ შაჰ მაჰმუდი გადაუხვევს ამას, იცოდეს,
არ აიწონის მისი ტვინი ერთ მარცვლის ოდენს.
სამეფო ტახტზე თუ უფალი მას გაამაგრებს,
ნების და ალის სხვა მხარეში გადაასახლებს.
თუ მე მათდამი სიყვარულით ვიწყებ მოთხრობას,
ვითარცა მაჰმუდ მოვიპოვებ ეს მფარველობას.
დასასრულამდე მეფეები ქვეყნად იქნება
და მე მათდამი სიყვარულით მუდამ ვიქნები.
რომ ფერდოუსი ტუსელია, წრფელია იგი,
არა მაჰმუდის სადიდებლად შეთხზა ეს წიგნი.
წინასწარმეტყველის და ალისა სახელისათვის,
ბევრი ავკინძე მარგალიტი ლექსებისათვის.
ფერდოუსისა შესადარი ქვეყნად ვინ არი?
ბაგრამ არ არის მისი ბედი ასე მცინარი.
ნუ დაიჯერებ შენ ამ ჩემ წიგნის შესახებ,
გზიდან ამცდარა, ცუდ მაბეზღრის სიტყვების მახეს.
მას, ვინც ჩემს ლექსებს ამცირებს და გესლით ხარხარებს,
არ მოუმართავს ხელს საწუთრო, არ გაახარებს.
წინა მეფეთა წიგნი შევთხზე შრომითა ჩემით,
საუკეთესო განცდებით და სიტყვის შერჩევით.
ჩემი სიცოცხლის ოთხმოც წელს რომ ცოტაღა აკლდა,
ერთბაშად ჩემი იმედი და ფიქრი გაქარწყლდა.
ამ ოცდაათ წელს ქვეყანაზე მწუხარე ბედით,
რამდენი ტანჯვა ავიტანე განძის იმედით.
ძველ ეპოქების ეს ლექსები დაუშრობელი,
არის კრებული გმირთა შორის ომთა მთხრობელი;
შესახებ შვილდთა, ქამანდის და ისარ-ლახტისა,
აბჯარ-ჯავშანთა, მუზარადთა და გრძელთა ხმალთა,
შესახებ ზღვათა, უდაბნოთა და მდინარეთა,
შესახებ მგელთა და სპილოთა, ლომთა და ვეფხვთა
გველეშაპების, ავსულების, ნიანგებისა.
ალჭაჯებისა და დევების ჯადოსნობისა,
სახელოვანთა ხელჩართული ომის დღეების,
გმირთა კვეხნისა, შეტაკების და შებრძოლების.
იმგვარ გმირების — სახელოვან ფალავანთ მჯობნის —
როგორიც იყვნენ: თურ, სალემ და აფრასიობი.
ვით აფერიდუნ და ვით შაჰი ქეიყობადი,
როგორც ზეჰაქი უნიჭო და ურჯულო, ყბედი.
როგორც გერშასპი და ძლიერი სამ ნარიმანის,
ქვეყნის გმირებში მკლავმაგარი და ფალავანი.
ვით ჰუშაგი და თეჰმურასი დევისმპყრობელი,
ვით მანუშეჰრი და ჯემშიდი ქვეყნის მფლობელი.
ვით ჭაუსი და ქეიხოსრევ ტახტსხივოსანი,
ვით როსტევმი და რუინთენი სახელოვანი.

როგორც გოდერზი და ოთხმოცი ვაჟი რჩეული.
ბევრი მხედარი მოედნისა ლომებ ჩვეული.
ვით დიდებული სახელისა მეფე ლოჰრასპი.
როგორც ზერირი მოლაშქრე და როგორც გოშთასპი.
როგორც ჯამასპი უთვალავი ლაშქრით ქებული,
რომელიც მზეზე უფრო იყო გაბრწყინებული.
როგორც დარაი დარაბა და ბეჰმენ მძლე-მძლეთა,
ვით ესქენდერი — იგი მეფე მეფეთ-მეფეთა.
როგორც ერდეშირ და შაპური მაგრად ქებული,
როგორც პერვიზი, ჰორმოზი და მისი ყობადი,
როგორც ჰოსრევი, პერვიზი რომ ერქვა სახელად.
ამგვარნი გმირნი, ქვეყნის მპყრობნი, ტახტსხივოსანნი,
რომელნიც ახლა ჩამოეთვალეთ, სახელოვანნი.
ყველანი მკვდარნი, დიდი ხნიდან მივიწყებულნი,
ჩემი სიტყვებით გახდნენ ცოცხალ-გაბრწყინებულნი.
როგორ იესომ მე ეს მკვდრები ძველთაგან ძველი,
აღვადგინე და უკვდავ ყავი მათი სახელი.
ერთი რამ გიყავ, შაჰრიაზო, დაუვიწყარი,
დარჩება შენგან სამუდამოდ ეს სახსოვარი.
დაირღვევიან შენობები დროების ლრბოლით,
შზის მხურვალეებით, წვიმებით და ქარების ქროლვით;
ლექსებისაგან მე ავღმართე კოშკი მაღალი,
რასაც ვერას ვნებს ვერც წვიმა და ვერცა გრიგალი,
გადაირბენენ ამ ჩემს წიგნზე მრავალნი დრონი,
მას წაიკითხავს ყველა, ვისაც ექნება გონი.
არა ასეთის მომლოდინე ვიყავ ცნობისა,
არა ეს მქონდა მე იმედად ქვეყნის მპყრობისა.
ბოროტგამზრახველს ნუ ექნება დღენი კეთილნი,
რომ მოიხსენა ცუდად ჩემი სიტყვანი ტკბილნი.
შაჰს შეაზიზღა ჩემი თავი განზრახვით ავით,
ნახშირად იქცა მოციმციმე ჩემი ვარსკვლავი.
რომ ყოფილიყავ შენ მსაჯული სამართლიანი,
ნაფიქრებოდი ამ პოემას საფუძვლიანად,
იტყოდი, რომ მე მთელი ძალით მოვმართე ქნარი,
არ დამიშურავს, რაც გამაჩნდა სიტყვის უნარი.
ლექსით სამოთხეს დავამსგავსე ქვეყანა მთელი,
არავის უთქვამს ჩემზე მეტი და უკეთესი.
წინადაც ბევრი იყო სიტყვის ოსტატთა დასი,
შეუზომიათ მათ სიტყვანი მრავალ ათასი,
მაგრამ რამდენიც არა იყო მგოსანთა ჯარი,
არცერთ მათგანსა არ შეუთხზავს რაზე ამგვარი.
ამ ოცდაათი წლის მანძილზე ვიყავ ტანჯული.
მაგრამ ირანი გავაცოცხლე ამ ირანულით.
არყოფილიყო ძუნწი მეფედ ამ ქვეყანაზე,
ჩემი ადგილი იქნებოდა სამეფო ტახტზე.
ღმერთმა ნუ მისცეს გარყვნილს ქვეყნად კეთილდღეობა,

ახალგაზრდა კაცს სიძუნწე და ჭკუა-ბნელობა.
ცოდნის სიმდიდრე რომ ჰქონოდა მეფეს ქებული,
მე სასახლეში ვიქნებოდი დაბრძანებული;
მაგრამ, რადგანაც თვით არ არის დიდგვაროვანი,
არც მოიგონა მან ამიტომ გვირგვინოსანი.
თუ რომ ყოლოდა მეფეს მამა, მეფე — მე მგოსანს,
მაშინ თავზედა დამადგამდა გვირგვინს ოქროსას.
რომ მეფის დედას ბანოვანთა მოდგმა ჰქონოდა,
ვერცხლი და ოქრო მუხლებამდე მე მექნებოდა.
შთამომავლობა რადგან არ აქვს დიდებულების,
მათ სახელების მას მოსმენა არცა ეგების.
ვწერდი შაჰ-ნამეს ოცდაათ წელს, ლექსებს ქებულსა,
ვფიქრობდი, მეფე გაახარებს განძით ჩემს გულსა.
მომცემს ამქვეყნად სახელსა და ბედნიერებას,
დიდებულთ შორის ამაღლებას და განდიდებას.
მაგრამ საჩუქრად მეფემ განძი გამიხსნა როცა,
ერთი ჭიქისა ლუდის ფასის მეტი არ მომცა.
აი სიმდიდრე, აი ჯილდო, ამდენ ჯაფაში,
მე იმ ჯილდოთი მხოლოდ ლუდი ვიყიდე გზაში,
იმ შაჰრიარზე ერთი გროშიც არს უკეთესი,
რომელსაც მოდგმა, წესი, რჯული არა აქვს მეფის.
არ გამოდგება თუ მონაა მისი მზობელი,
თუნდაც რომ ჰყავდეს მამა მეფე, ქვეყნის მპყრობელი.
უღირსთ მთავარი აამაღლო ქება-დიდებით
და მისგან გქონდეს ქვეყანაზე რამე იმედი,
ნიშნავს, რომ იყვე დაბნეული, გონებაბნელი
და შენს ჯიბეში შხამიანი აღზარდო გველი.
თუ ხე მწარეა თვისი ჯიშით, თვისი ბუნებით,
სამოთხის ბაღში რომ დარგო და მას ფუფუნებით,
უკვდავების წყლით მიწა ურწყო და უალერსო,
ძირშიც რომ უსხა წმინდა თაფლი საუკეთესო,
ბოლოსდაბოლოს ჯიში მაინც თავისას იზამს
და ის ხე ისევ, იმავ მწარე ნაყოფს მოისხამს.
თუ რომ გაივლი შენ მახლობლად ამბრის ვაჭრების,
შენი სამოსი შეიქნება ამბრსურნელების;
მაგრამ თუ ახლოს შენ გაივლი მენახშირისა
ვერას მიიღებ მისგან გარდა მურ-სიშავისა.
ნუ გაიკვირვებთ უჯიშოსგან უმსგავსო რამეს,
არ მოხერხდება, რომ სიბნელე მოსტაცო ღამეს;
ბილწად შობილის რამ იმედი შენ ნუ გექნება,
რაც უნდა ხეხო ზანგი, მაინც არ გათეთრდება.
ულირსის თვალში სინათლე და სხივთბრწყინვალეც
იგივე არის, რაც თვალების მტვერით ავსება.
რადგანაც ღმერთმა დააწესა ქვეყნად ამგვარად,
მეტი რა გზაა, ჰმორჩილებდე უნდა მას მარად.
დიდებულების მოპოება სიტყვით არ ხდება,

ორასი სიტყვა ერთ საქმეთაც არ დაფასდება.
რომ ქვეყნის მპყრობი ყოფილიყო წმინდა სახელის,
ამგვარ საქმეში ექნებოდა ჭკუა ნათელი.
ჩემი სიტყვებიც იქნებოდა დაფასებული,
ვით იყო წინათ მეფეების წესი და რჯული.
მოეპყრობოდა ჩემს სურვილებს ჩემს გასახარად,
არ გასთელავდა ჩემს სიცოცხლეს იგი ამგვარად.
მე იმიტომ ვთქვი ეს ლექსები წკრიალა, ტკბილი,
რომ მეფემ იგი შეისმინოს ვით გაკვეთილი,
რომ ამის შემდეგ მან უწყოდეს ძალა სიტყვისა
და ჩაუფიქრდეს იგი რჩევას ღრმა მოხუცისას.
არ მიაყენოს სხვა პოეტებს რაიმე ვნება
და დააფასოს მათი შრომა, მათი ღირსება.
შეურაცხყოფილ თუ იქნება პოეტი მაშინ,
შეთხზავს სატირას და სატირა დარჩება ხალხში.
ვიყრი რა თავზე მწუხარებით მიწას და მტვერსა,
მივმართავ კვნესით და ვედრებით უწმინდესს ღმერთსა,
ო, ღმერთო, ღმერთო, ცეცხლში დასწვი იმისი სული
და ღირსეული შენი მონის აანთე გული!

როგორც სჩანს სატირის ავტორი მაჰმუდის საკეთილდღეოდ არაა განწყობილი.

რომ ფერდოუსისა და სულთან მაჰმუდის შორის წინააღმდეგობას ჰქონია ადგილი, ამას თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს.

ეს წინააღმდეგობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება აიხსნას იმ ლეგენდის საფუძველზე, რომელიც უეჭველად მაჰმუდის მხარეზე მდგომ ფეოდალური არისტოკრატიის წრიდან მომდინარეობს და რომელშიაც საბოლოოდ მაინც დაფასებულია „შაჰ-ნამე“, როგორც დიდი ლიტერატურული მოვლენა და ფერდოუსისათვისაც საკმაოდ განძია გაღებული.

ჰინდოეთის ძარცვით გატაცებული მაჰმუდ ღაზნეველი (ტყვილა კი არ უწოდა მას პოეტმა „დინარის ტყვე“) სრულებით არ იქნებოდა დაინტერესებული ირანული კულტურის აყვავებით. პირიქით, მისი მეფობის დროს იყო ცდა ოფიციალურ ქაღალდების ენად არაბული ენის შემოღებისა.[7]

ცხადია, დიდი შეცდომა იქნება მაჰმუდში ირანულ ნაციონალურ სწრაფვათა მფარველი დავინახოთ.[8])

სატირაში მოცემული ის ფაქტიც, რომ მაჰმუდი არ აფასებს ისეთ ლიტერატურულ შემოქმედებას, როგორიცაა „შაჰ-ნამე“ და

---

[7]) В. В. Бартольд: „Туркестан в эпоху монгольского нашествия“, СПб, 1910, 11, 307.

[8]) იქვე, გვ. 307.

მის ავტორს დევნის, თავის მხრივ დამამტკიცებელია, რომ მაჰმუდ ღაზნეველი სრულებით არ ზრუნავდა ირანული კულტურის კეთილდღეობისათვის.

როგორც ვხედავთ სატირა მიმართულია სულთან მაჰმუდის წინააღმდეგ და სწორედ ამიტომ მასში გარკვევითაა მოცემული მაჰმუდ ღაზნეველის ბატონობის ეპოქის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნები.

სატირაში ლაპარაკია ჯაშუშობაზე, მაბეზღრობაზე, რის გავრცელებული სახით არსებობას იმ ეპოქაში ვ. ბართოლდიც აღნიშნავს. [9])

ყოველივე ამის გამო ფერდოუსის „სატირას სულთან მაჰმუდზე" ლიტერატურულ მნიშვნელობასთან ერთად ისტორიული მნიშვნელობაც ენიჭება.

ზოგიერთი ირანოლოგი ეჭვის თვალით უცქერის ფერდოუსის ავტორობას ამ სატირის შესახებ.

ჩვენ არავითარი საბაბი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი ფერდოუსის არ ეკუთვნის, მაგრამ იმის გარკვევაც ძნელი ხდება თუ რა სახის იყო პირველად ის და რა ჩაურთეს მასში შემდეგი დროის პოეტებმა.

ფერდოუსი, ირანული კულტურის სიამაყე, დიდი პოეტი, რომელმაც „ირანი გააცოცხლა და მხატვრული სიტყვით ქვეყანა საშოთხედ აქცია", რა თქმა უნდა, ღიმილით არ შეეგებებოდა სამანიდების დინასტიის დაცემას და ირანის მოსახლეობის მაჰმუდ ღაზნეველის ქვეშევრდომად გარდაქცევას.

სატირის შეთხზვის მიზეზები ამ მიმართულებით უნდა ვეძიოთ.

---

[9]) იქვე, გვ. 308.

ბიბლიოგრაფია

ს. მგალობლიშვილი — მოგონებანი

ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით. გამომცემლობა „ფედერაცია“ 1938 წ.

გამოჩენილი ხალხოსანი ბელეტრისტის სოფრომ მგალობლიშვილის სარეცენზიო წიგნი მემუარული ხასიათის ნაწარმოებია ჩვენი უახლოესი წარსულის მწერლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. ის შეიცავს მეტად ძვირფას მასალებს და წიგნის რედაქტორს ამხ. ლევან ასათიანს უეჭველად სასარგებლო და საჭირო შრომა გაუწევია ამ ძვირფას მასალების ერთად შესაგროვებლად.

ეს მოგონებანი გაბნეული ჩვენს პერიოდულ პრესაში და დაწერილი სხვადასხვა შემთხვევის გამო სხვადასხვა დროს—მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის და, ზოგჯერ ლიტერატურის ვიწრო სპეციალისტებისათვისაც კი, ხელმიუწვდენელი იყო. დღეს, როდესაც ქართული ლიტერატურის ისტორიის შედგენის საკითხი მწვავედ სდგას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი ნედლი დოკუმენტების შეგროვებას და გამოცემას.

მოგონებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ჩვენი ქვეყნის იმ კუთხის კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას, სადაც დაიბადა და თავისი სიყმაწვილის დღეები გაატარა დიდმა ბელადმა. ეს არის გორი, მისი ინტელიგენცია და ამ ინტელიგენციის კულტურულ-რევოლუციური და საზოგადოებრივი საქმიანობა. რევოლუციონერი ხალხოსნები, სემინარიის მოწაფეები, მწერლები, ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსები ხშირად თავს იყრიდნენ გორში და დიდ კულტურულ-რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. გორი იმ ხანებში საქართველოს კულტურისა და რევოლუციური მუშაობის თვალსაჩინო ცენტრი იყო. ცნობილია გორის ინტელიგენციის დეპეშა ჯუზეპე გარიბალდის გარდაცვალებაზე და კურიოზი გორის რუქაზე ძებნის შესახებ უცხოეთში. ეს თავები ძალიან დიდი ხალისით და ინტერესით იკითხება და ის ბევრ ძვირფას და საგულისხმიერო მასალებსაც შეიცავს.

წიგნის მეორე ნახევარი მიძღვნილი აქვს ქართველ მწერლებზე მოგონებებს (ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი, აკაკი, გ. ვოლსკი, ი. გოგებაშვილი, გ. ყიფშიძე, ა. ფურცელაძე, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, შ. ჩიტაძე და სხვები) და ქართველ-მწერალთა წერილებს. ამ ნაწილში, როგორც ამას თვით რედაქტორი აღნიშნავს, ზოგიერთი ამბები და ზოგჯერ თითქმის მთელი გვერდები განმეორებულია. ჩვენ ამაში ვერ დავეთანხმებით რედაქტორს და ვფიქ-

რობთ: წიგნი გაცილებით ბევრს მოიგებდა, რომ ერთი და იგივე შინაარსის ორ წერილში ერთი უფრო ვრცელი და უკეთესი შეერჩია და დაებეჭდა, ხოლო მეორე წერილიდან თუ რამე გამორჩებოდა, ის რედაქტორს შენიშვნებში მოეყვანა.

რედაქტორის შენიშვნების შესახებაც უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. ზოგიერთი შენიშვნა და თარიღი სწორად არ არის მოყვანილი. ავიღოთ ანტონ ფურცელაძის დაბადების წელი. დღემდი ცნობილი იყო ასეთად 1838 წელი (ამას ამტკიცებენ ა. ხახანაშვილი, ყიფშიძე და თვით ს. მგალობლიშვილი). ლევან ასათიანი მისი დაბადების წლის თარიღად 1839 წელს სთვლის. რისთვის, რა მოსაზრებით? ეგებ მოეპოვება რაიმე ახალი ცნობა. მაშინ უნდა აღენიშნა ეს. გიორგი ზდანოვიჩის გადასახლებიდან დაბრუნების წელიც — ასათიანის მიერ აღნიშნული (1886 წ.) საეჭვოა. სიმონ ხუნდაძე ამტკიცებდა, რომ ის 1889 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან (იხ. ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერები ტ. 1 გვ. 370). რევოლუციონერ მოღვაწეთა ბიო-ბიბლიოგრაფიულ სიტყვარშიც ეს წელია დასახელებული (იხ. ტომი 2, გამოცემა 2, გვერდი 453).

რედაქციის ზოგიერთი მითითება მკითხველს მასალის მოძებნას თუ გაუძხელებს, თორემ არ გაუადვილებს. მაგალითად, ერთ ადგილას რედაქტორი მიუთითებს ნ. ლომოურის შესახებ ზანდუკელის წერილზე. „იხილე „მნათობი" ამ წლის ეს ნომერი". გაცილებით უკეთესი არ იქნებოდა მიეთითებია მისივე წიგნზე, სადაც ეს წერილია დაბეჭდილი?

ერთ და იმავე პირზე, მაგალითად გოგებაშვილზე, ა. ხახანაშვილზე და სხვებზე ორ ადგილას არის რედაქტორის შენიშვნა გაკეთებული. ეს ზედმეტია და მკითხველს თუ აბნევს, თორემ არ ეხმარება. ან რა ფასი აქვს რედაქტორის მითითებას იმის შესახებ, რომ ამაზე ქვემოთ იხილე ჩემი შენიშვნაო. საჭიროა ერთხელ თქმა და მკითხველის განთავისუფლება სხვადასხვა ადგილის ძებნისაგან.

მწერალთა და მოღვაწეთა ბიოგრაფიების მოცულობის მოცემაში რაიმე განსაზღვრული წონასწორობა არ არის დაცული. მაგალითად ხშირად დიდ წონის მწერალი და მოღვაწე ორი სიტყვით არის მოხსენებული და უმნიშვნელო უფრო ვრცლად. ზოგიერთი შენიშვნა გაკეთებულია ციტირებით (გაზეთი „დროება"), რაც მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. სიზუსტით გატაცებული ავტორი ხშირად იმეორებს და ეს მკითხველის ყურს ეჩოთირება. მაგალითად შენიშვნაში რამდენჯერმეა განმეორებული თუ სად დაიბეჭდა მოგონებათა 5 თავი და სად დანარჩენი ოთხი თავი (წინასიტყვაობა, შენიშვნა 1, შენიშვნა 9).

მიუხედავად ზოგიერთი ასეთი წვრილმანი ნაკლისა, ამხ. ასათიანის მუშაობა მისასალმებელია, და ის რამდენიმედ ავსებს იმ დიდ ხარვეზს, რომელიც აბრკოლებს და ხელს უშლის ჩვენი ლიტერატურის ისტორიის შედგენას.

გადაეცა წარმოებას 7/V 38 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VI 38 წ. ზომა 6 × 10. 4 ფორმა. შეკ. № 1053. მთავლიტის რწმუნებული № 1931. ტირ. 6500.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატის სტამბა, ჟორესის ქ. № 5.